# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 მაისი 2008 №101 (3325) ფასი 50 თეთრი


# ივანკოვიჩის ბრანკომპანია გეორგიაში გიორგობაზე





## მგზავრული

### ზაგრები–მიუნხენი–თბილისი

...როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, საქართველოს ნაკრების შესაძლო ახალი მთავარი მწვრთნელი, ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი უკვე თბილისში იქნება. ივანკოვიჩი ნუხელ ზაგრებიდან გამოემგზავრა და მიუნხენის გავლით გამთენიისას ჩამოფრინდა.

ბრანკო ივანკოვიჩს თბილისში ჩამოსვლისთანავე შევხვდით, პირველად კი მაშინ დავუკავშირდით, როცა ის ზაგრებიდან მიუნხენისკენ მიემგზავრებოდა...

— დიახ, უკვე გზაში ვარ, დილით თბილისში ვიქნები და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან საბოლოო მოლაპარაკებასაც დავიწყებ.

**— თბილისში ჩამოსვლას ერთი-ორი დღით ადრე გეგმავდით, მაგრამ ეს ახლა ხდება. ბოლო დღეებში ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან არ გისაუბრიათ?**

— ცხადია, ვისაუბრეთ და კიდევ უფრო დავაკონკრეტეთ ერთმანეთის მიმართ ჩვენი თხოვნა თუ მოთხოვნები. კმაყოფილი ვარ და როგორც ჩემი, ასევე ფედერაციის ყველა კითხვას, ვფიქრობ, საბოლოოდ თბილისში ეპასუხება.

**— ანუ კონტრაქტს ხვალვე გააფორმებთ?**

— არ მგონია, არ ვიცი...

**— თბილისში მარტო მოდიხართ?**

— დიახ. ჩვენს საქმეში ვფიქრობ, ადვოკატი ზედმეტია.

**ქოგა ინასარიძე**

## თბილისი, აეროპორტი

მიუნხენის რეისამდე ათიოდე წუთით ადრე თბილისის აეროპორტში სტამბოლის რეისი ჩამოვიდა, რომელსაც პეტარ სეგრტის მეუღლე ბრიგიტი ჩამოჰყვა.

ბრიგიტ სეგრტი პირველად არის საქართველოში, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა კი ასე იხუმრა, რაღა მაინცდამაინც დღეს მესტუმრა, როცა მთელი დღე ბრანკო ივანკოვიჩთან ერთად უნდა ვიყოო.

დილის ოთხის ნახევრისთვის კი ივანკოვიჩიც ჩამოვიდა და პირველი არასატელეფონო კომენტარიც აეროპორტშივე გააკეთა: „დიდი მადლობა მოწვევისთვის. საქართველოში კარგი განწყობით ჩამოვედი და იმედი მაქვს, მოლაპარაკება წარმატებით ჩაივლის. კიდევ ერთხელ შევხვდები ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს, ყველა თემაზე ვისაუბრებთ, მიზნებს და მოთხოვნებს ჩამოვაყალიბებთ და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ."

## ბრანკო ივანკოვიჩის პირველი თბილისური დღე

მიუნხენის რეისით საქართველოში გამთენიისას ჩამოსული ბრანკო ივანკოვიჩის სამუშაო დღე 12 საათზე, ეროვნულ სტადიონზე სტუმრობით იწყება.

იქიდან ივანკოვიჩს საგურამოში წაიყვანენ და ეროვნული ნაკრების ბაზას დაათვალიერებინებენ.

ამის მერე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელობის კანდიდატთან მოლაპარაკება დაიწყება.

ივანკოვიჩი თბილისიდან დღეს ღამით გაემგზავრება.

## რა გვჭირს და რა გვჭირდება ქართველებს:

# მუშტი თუ სიტყვა?

მკაცრ მწვრთნელს ლმობიერებას სთხოვენ, ხოლო ლმობიერს სიმკაცრეს უწუნებენ. ვინ ახსნის, რატომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფეხბურთი ისევ ულტიმატუმის ენით ითხოვს: არჩევნები!



მიხეილ ყაველაშვილი

** გუშინ** ორგანიზაცია „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ.

მოგეხსენებათ, „ჩვენი ფეხბურთი" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს, ფედერაციის პასუხი კი ისაა, რომ მანდატის მქონე 34 პირის ხელმოწერა გამოამზეურა — ფედერაციის წევრი სუბიექტები ვერ ხედავენ მიზეზს, რატომ უნდა ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები.

ცხადია, „ჩვენმა ფეხბურთმა" ამ თემას დიდი ყურადღება დაუთმო...

*მიხეილ ყაველაშვილი:* იმ 34 დელეგატს მოვუწოდებ, რომ კარგად გაიაზრონ, რას მოაწერეს ხელი. მათ ქართული ფეხბურთის ქომაგი ამისთვის პასუხს მოსთხოვს. ყველას კარგად გვახსოვს, „პრაიმტაიმში" ინტერაქტივმა რა შედეგი აჩვენა — 94 პროცენტი რიგგარეშე არჩევნებს უჭერს მხარს. ამას ხალხი ამბობს, დელეგატები კი ამტკიცებენ, რომ ყველაფერი კარგადაა. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ფეხბურთი გულშემატკივრისაა, 34 დელეგატის კი არა, ყველა ჩვენგანისაა. დღეს ქართულ ფეხბურთში უმძიმესი მდგომარეობაა. ბავშვთა ფეხბურთი რა დღეშია, ჩვენი ჩემპიონატის ყურება ხომ საშინელებაა. ევროთასებზე გასული გუნდები პირველი ეტაპიდან ვარდებიან, ნაკრებებს სამარცხვინო შედეგები აქვთ... ამ მდგომარეობაში გაჩერება დანაშაულია...

...არ ვითხოვთ, რომ კონკრეტულად ჩვენ დაგვიდგეთ მხარში, ჩვენ ყველა ქართულ ფეხბურთს უნდა დავუდგეთ მხარში. სამწუხაროდ, ვეტერანების ნაწილი გაუჩუმებულია და სიმართლეს არ ამბობს, მათ ხმა უნდა აიმაღლონ.

*ლევან ყიფიანი:* ჩვენი ულტიმატუმი ძალაში რჩება, ფედერაციის პრეზიდენტი და აღმასკომი 13 მაისამდე უნდა გადადგნენ. თითოეულ ჩვენგანს გვაქვს დიდი ძალა, ეს ძალა შეგვაძლებინებს, რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს. ქართველი ქომაგის ხმა უმთავრესია და ვერ გავითვალისწინებთ იმ 34 დელეგატის აზრს, რომლებიც თვლიან, რომ ქართული ფეხბურთი წინ მიდის. ქართული ფეხბურთი კატასტროფულ მდგომარეობაშია. მის გადასარჩენად ბრძოლას ვაგრძელებთ.

გოჩა ჯამარაულმაც და ლევან მაისურაძემაც მიმართეს სტუდენტებს, მათ ახალგაზრდებს მოუწოდეს, გაერთიანდნენ და ქართული ფეხბურთის გადასარჩენად იბრძოლონ. სტუდენტებმა კითხვებიც დაუსვეს „ჩვენი ფეხბურთის" ხელმძღვანელებს. ერთმა სტუდენტმა იკითხა, გიორგი ნემსაძე რატომ არ ამბობს სიმართლესო. ყაველაშვილის პასუხი ასეთი იყო: ნემსაძე ჩვენი ბავშვობის მეგობარია, მაგრამ ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს, მის მაგივრად პასუხს ვერ გაგცემთ, ამისთვის ბოდიშს ვიხდი, იმ სამარცხვინო არჩევნებზე კი თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი აზრი გამოვხატეთო.

„ჩვენი ფეხბურთის" წარმომადგენლები 7-8 მაისსაც გეგმავენ სტუდენტებთან შეხვედრას — ისინი სამედიცინო და აგრარულ უნივერსიტეტებს ეწვევიან.

**ნუკრი ლოლაძე**

## ინგლისი

პრემიერლიგა
XXXVII ტური
ნიუკასლი 0:2 ჩელსი

კონფერენსლიგა
პლეი ოფი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
ტორკი 1:4 ექსეტერი (2:1)

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVI ტური
ბულონი 0:1 გრენობლი

## ჰოლანდია

საჩემპიონთალიგო
პლეი ოფი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
აიაქსი 3:1 ჰერენვენი (2:1)

## შოტლანდია

პრემიერლიგა
XXXVI ტური
ფოლკირკი 2:1 ჰართსი

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XXVIII ტური
სიგმა 1:3 სლავია

## ნორვეგია

ტიპელიგა. VI ტური
ლილესტრიომი 2:0 ვიკინგი

## შვედეთი

ალსვენსკა. IX ტური
გაის 0:0 ნორჩიოპინგი
ლიუნგსკილე 0:0 გეფლე
აიკ 1:0 ჰალმსტადი

სუპერეტა. IV ტური
ენჩიოპინგი 1:1 ძვიდინგი
იონკოპინგი 0:0 ფალკენბერგი
ბანკეფლო 1:6 მიალბი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXXII ტური
ვადუცი 0:0 ივერდონი

## დანია

სუპერლიგა. XXVIII ტური
ჰორსენსი 3:2 კოპენჰაგენი

## სლოვაკეთი

I ლიგა. XXVIII ტური
ტრენჩინი 2:1 ტრნავა

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. II ტური
ჰაკა 3:0 კუოპიო



კლაუს ტოპმიოლერი



იოჰან ბოსკამპი

# რა გვჭირს და რა გვჭირდება ქართველებს: მუშტი თუ სიტყვა?

**1999 წელს** საქართველოს ნაკრები „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ემზადებოდა, როცა მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდმა ზაზა ჯანაშიამ ჩამოსვლა დააგვიანა, ხოლო როცა ნაკრებს შეუერთდა, პირველსავე ვარჯიშზე ისე უგერგილოდ დარბოდა, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა სახალხოდ ულრიალა და შეკრება დაატოვებინა.

ჯანაშიამ დისციპლინა დაარღვია. ჯერ იყო და, მოსკოვიდან თბილისში მანქანით წამოვიდა და ამიტომ დაიგვიანა, მერე აგდებულად დაიწყო ვარჯიში, რამაც მწვრთნელი წონასწორობიდან გამოიყვანა.

ამ ამბავს, ცხადია, შესაბამისი რეზონანსი მოჰყვა. ერთნი ბოსკამპს ამართლებდნენ, მეორენი მწვრთნელის სიმკაცრეს ზედმეტად თვლიდნენ. საბოლოოდ კი, აი, რა მოხდა: ჯანაშიას გუნდში დაბრუნების თხოვნით ბოსკამპთან ნაკრების მაშინდელი ლიდერები შევიდნენ, მწვრთნელის დაყოლიება სცადეს, მაგრამ ჰოლანდიელმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და მას მერე ჯანაშია ბოსკამპის გუნდში არც გამოჩენილა...

ეს ამბავი კი რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ფეხბურთელის ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ გაგვახსენდა. ზურაბ მენთეშაშვილმა „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა: „ტოპმიოლერის სისუსტე ალბათ ის გახლდათ, რომ მომთხოვნი არ იყო, ჩვენთან კი ეს არ ვარგა".

მერე ძველი გაზეთებიც გადავათვალიერეთ და ნაკრების სხვა ფეხბურთელთა ანალოგიური სიტყვებიც ამოვიკითხეთ.

ლაშა სალუქვაძე: „ვთვლი, რომ ნაკრებს დისციპლინის მოყვარული, მკაცრი მწვრთნელი სჭირდება. ტოპმიოლერის ყველაზე დიდი მინუსი ის იყო, რომ რბილი ადამიანია".

გიორგი შაშიაშვილი: „ნაკრების მწვრთნელი აუცილებლად მკაცრი უნდა იყოს".

ლევან კობიაშვილი კი უფრო შორს წავიდა: „მეტი სიმკაცრე და პასუხისმგებლობა უნდა იყოს ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მიმართ".

ახლა ჩვენი ნაკრების უახლესი ისტორიიდან ორი, ცოტა ზოგადი მაგალითიც გავიხსენოთ იმისა, თუ რა და როგორ იყო მაშინ, როცა მწვრთნელი შეგირდებს შემოსწყრა და ნაკრები დაატოვებინა.

გოგიტა გოგუამ შოტლანდიაში შეცვლაზე თამაში იუკადრისა, „ჰართსში" გადავდივარო, აღშფოთდა და ტოპმიოლერის რეაქციამაც არ დააყოვნა — მწვრთნელმა თქვა, გოგუა უდისციპლინობის გამო არის დასჯილი და ვიდრე არ დაფიქრდება და ცუდ ქცევას არ მოინანიებს, ნაკრებში აღარ დავუძახებო...

მიხეილ აშვეთიამ, ჯანდაბას, მწვრთნელმა შოტლანდიაში არ მათამაშა, მაგრამ ფარერებთან მაინც რატომ დამტოვა სათადარიგოდო, მანაც სახალხოდ გამოხატა უკმაყოფილება და მწვრთნელმა ისიც გოგუას გზას გაუყენა.

...ეს ამბები მოხდა და, ალბათ გახსოვთ, როგორ დაიძაბა სანაკრებო ურთიერთობა. მწვრთნელმა სიმკაცრე გამოიჩინა და ურჩები გაუშვა, მაგრამ არაერთხელ ითქვა, მწვრთნელმა როგორ გაბედა და, ნაკრების ფეხბურთელი ეროვნულ გუნდს მიღმა როგორ დატოვაო?!

მწვრთნელმა სწორედაც რომ დისციპლინარული სანქციები გამოიტანა და მაშინვე უკმაყოფილების მორევი დატრიალდა. ამ ყველაფერს ზურაბ ხიზანიშვილ-ტოპმიოლერის კონფლიქტი დაემატა და ისიც გეხსომებათ, ამ ამბავს რაც მოჰყვა.

დღეს კი ნაკრების ფეხბურთელები ამბობენ, მკაცრი, დისციპლინის მოყვარული, პრინციპული მწვრთნელი გვჭირდებაო...

ფაქტია, რომ ტოპმიოლერმა უდისციპლინობის გამო ფეხბურთელები დასაჯა და ფაქტია ისიც, რომ ნაკრების წევრები ამბობენ, მკაცრი მწვრთნელი გვჭირდებაო.

მოდით, აქ გერმანელი მწვრთნელის ნაჩვენებ შედეგზე ნუ ვილაპარაკებთ, ზედმეტად გვეჩვენება ეს ყველაფერი და იმიტომ. აქ სხვა პრობლემას ვაწყდებით: აქეთ დისციპლინას ითხოვენ, იქით კი „დისციპლინის მსხვერპლთ" სოლიდარობას უცხადებენ.

ერთი ძველი ამბავიც გვახსენდება. ერთ-ერთი ქართველი ფეხბურთელის გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედ თუ მერვედფინალის საგარეო მატჩს თამაშობდა. ქართველი ფეხბურთელი მწვრთნელისგან წინასწარ გამოცხადებულ სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ... თამაშის დილას თეორიულ მეცადინეობაზე არცთუ საპატიო მიზეზით დაიგვიანა და გუნდის თავკაცის რეაქციამაც არ დააყოვნა, ჩვენიანი წამშივე სხვა ფეხბურთელით შეცვალა, ქართველი კი 18 კაცშიც აღარ მოხვდა.

ბუნებრივი კითხვაა, რა უნდა გაეკეთებინა ასეთ სიტუაციაში მწვრთნელს? ალბათ ბევრი დაგვეთანხმება, ის სახელოვანი მწვრთნელი სწორად რომ მოიქცა. ჩვენიანს კი ასევე სახელოვან უცხოურ კლუბში არავინ გამოქომაგებია. გამოექომაგებოდნენ და, ისინიც დაისჯებოდნენ...

ჰოდა, ამ ამბების გახსენების მერე რა ვთქვათ, როგორი მწვრთნელი სჭირდება საქართველოს ნაკრებს და როგორი ნაკრები სჭირდება ქართველთა მომავალ თავკაცს? მკაცრი და პრინციპული მწვრთნელი, რომელიც ფეხბურთელის რანგსა თუ ტიტულებს არად დაგიდევს, თუ ლმობიერი და შემწყნარებელი, რომელზეც იტყვიან, მაგიდაზე მუშტის დამრტყმელი არ არისო?!

ის კი ნაღდია, რომ მკაცრს შემწყნარებლობას მოსთხოვენ, შემწყნარებელს კი სიმკაცრეს...

ასე რომ, ჯერ საკუთარ თავში გავერკვიოთ, როგორი მწვრთნელია ჩვენთვის უფრო გამოსადეგი...

და ისიც გავიხსენოთ, რომ თუ შენს თავს არ მოჰკითხე, ისე სხვის საქმეში მოსამართლე და განმსჯელი ვერ იქნები.

**კობა ინასარიძე**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 24 ტური



საქართველოს ჩემპიონი: 1990, 1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999, 2003, 2005, 2008
საქართველოს თასის მფლობელი: 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 2003, 2004
საქართველოს სუპერთასის მფლობელი: 1996, 1997, 1999, 2005

# ზესტაფონს დინამო ემცხეთა

**მაშ ასე:** „დინამო“ ჩემპიონია! გეხსომებათ, ტურისწინა ანონსში ვწერდით, მცირე შანსია იმისა, დინამოელები შაბათს გახდნენ ჩემპიონებიო, თუმცა დუშან უჰრინის გუნდმა ზუსტად ამ მცირეში მოარტყა. ისე, როგორი საქმეა, უპრინციპულესი მეტოქის მინდორზე რომ გაჩემპიონდები — ალბათ, ორმაგი სიხარულია...

თბილისელებს „ამერიც“ დაეხმარა ზეიმის მოწყობაში, რაკილა გლდანელებს რომ არ მოეგოთ მცხეთაში, ოფიციალურად ვერ გაინაღდებდნენ პირველ ადგილს. მოკლედ, უჰრინის შეგირდებმა, გადადებული საქმე ეშმაკისააო და, დასამთავრებელი ზესტაფონში დაამთავრეს — „დინამო“ 2005 წლის შემდეგ პირველად, სულ კი მეცამეტედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

სიმბოლურია, რომ საჩემპიონო გოლი მათე ვაწაძემ გაიტანა. ეს ბიჭი მეორე წრეში დინამოელთა ჯოკერად იქცა, ჟორჟ აკირემის ტრავმის პერიოდში ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი და რამდენიმე ოქროს გოლი გაიტანა. ვაწაძეს რომ ფორვარდისეული გოლის ალღო აქვს, ზესტაფონშიც დაამტკიცა — ზუსტად იქ დახვდა მცველებისგან მოგერიებულ ბურთს, სადაც უნდა დახვედროდა, ზუსტად იმ ღრიჭოში გააქანა ბურთი, სადაც უნდა გაექანებინა.

უჰრინი კი მიდის — მან „სარბიელთან“ გუშინდელ ინტერვიუში თქვა, ექვსი თვით დასვენება მჭირდება, თანაც, საოპერაციო ვარო.

ცნობილი ჩეხი სპეციალისტი 18 თვე თავკაცობდა ქვეყნის უტიტულოვანეს კლუბს და შარშან თუ ვერაფერი მოიგო, აგერ, ჩემპიონობას ეწია და ვინძლო 16 მაისს საქართველოს თასსაც შეავლოს ხელი.

და რა მიზნები დარჩა „ზესტაფონს“? ცხადია, თასის მოგება და სწორედ „დინამოსთან“ 7 მაისს ეცდება ფინალში გასვლას. შანსიც კარგი აქვს, თბილისში 1:1 ითამაშა.

„თავდამსხმელები პასიურები იყვნენ, უკმაყოფილო ვარ ვიეირას მოქმედებითაც, რომელმაც თავისი გაძევებით ყელი გამოგვჭრა“ — თქვა „დინამოსთან“ ნამატჩევს ზესტაფონელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ.

საინტერესოა: ვიეირა ისე გააძევა არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ, რომ წითელი ბარათი არ უჩვენებია.

ეჰ, მსაჯობა, მსაჯობა... არც „ვიტ ჯორჯია“ — „ამერში“ ყოფილა, რბილად რომ ვთქვათ, ნორმალური, ხოლო რუსთავში „ოლიმპმა“ „ბორჯომს“ რომ პენალტი გაუტანა, ასეთი პენალტები არ ინიშნება — თითიდან იყო გამოწოვილი!

ჩვენ ვწერთ, მაგრამ ისე გამოდის, ფედერაციაში არც ნაწერი აინტერესებთ და არც კლუბების ხელმძღვანელთა აღშფოთება.

„ამერი“ — გიორგი ჩიხრაძის გუნდი პირველ წრეშიც რომ ასე ქულახვავრიელი ყოფილიყო, ახლა საჩემპიონო მარულაში იქნებოდა ჩაბმული. გლდანელებს სულაც არ აინტერესებდათ „ვიტ ჯორჯიას“ საჩემპიონო ამბიციები და დიმიტრი ტატანაშვილის ბოლო წუთზე გატანილი პენალტით 1:0 მოიგეს.

ჰო, ტატანაშვილისთვის ეს მეცამეტე საამსეზონო გოლია და ერთი ბურთითღა ჩამორჩება მთავარმეგოლე მიხეილ ხუციშვილს.

რაც შეეხება ვიტელებს, ისინი, სავარაუდოდ, შეინარჩუნებენ მეორე ადგილს და უეფას თასზე გააღწევენ. ნესტორ მუმლაძის 14-მატჩიანი მოგებათა სერია ჩემპიონობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, რაკილა „მწვანეებმა“ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში დაიწყეს ქულების ფანტვა.

დაძაბული მატჩები იყო ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებს შორისაც, განსაკუთრებულ ინტერესს კი „ლოკომოტივი“ — სპარტაკი“ იწვევდა, სადაც ასევე უნდა გავკრათ კბილი მსაჯს, რადგან ცხინვალელთა კარში ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა. თუმც ამის მიუხედავადაც, სპარტაკელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რომ ვერ მოიგეს: 2:1 იგებდნენ და 3-4 სუპერსაგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერ გაიტანეს და ბოლოს აქეთ გაუშვეს.

კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი საპლეიოფო ადგილზეა და ქულითღა უსწრებს „მერანს“, რომელმაც გორში „დილასთან“ დაგეგმილი სამი ქულა აიღო. დაგეგმილი იმიტომ, რომ „დილამ“ უკვე თვალი ჩაუპაჭუნა უმაღლეს ლიგას.

დარჩენილ ორ ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ „ლოკომოტივს“ ალბათ, შეგვიძლია, უმაღლესში დარჩენა მივულოცოთ, ხოლო „სპარტაკ“-„მერან“-„ბათუმიდან“ ორი უნდა გავარდეს და ერთიც პლეი ოფში მოხვდეს. ზღვისპირელთა მდგომარეობა ახალციხეში უარესად დამძიმდა, რაკილა 2:3 წააგეს და ოთხი ქულით დაშორდნენ საპლეიოფო საფეხურს, ხოლო „მერანსა“ და „სპარტაკს“ კი ნაკლებად მოტივირებულ გუნდებთან დარჩათ სათამაშო.

ჰო, კიდევ რა იყო საინტერესო და, ამ ტურის შვიდ მატჩში მხოლოდ ერთი თამაში დამთავრდა ფრედ, დანარჩენში კი ერთბურთიანი სხვაობები დაფიქსირდა.

**ილია ნანობაშვილი**

მესხეთი 3:2 ბათუმი
მგლები 1:0 სიონი
ვიტ ჯორჯია 0:1 ამერი
ოლიმპი 1:0 ბორჯომი
ზესტაფონი 0:1 დინამო
დილა 2:3 მერანი
ლოკომოტივი 2:2 სპარტაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 21 | 1 | 2 | 59:13 | 64 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 18 | 3 | 3 | 43:11 | 57 |
| ზესტაფონი | 24 | 17 | 4 | 3 | 53:15 | 55 |
| ამერი | 24 | 15 | 2 | 7 | 47:24 | 47 |
| ოლიმპი | 24 | 14 | 4 | 6 | 24:16 | 46 |
| მესხეთი | 24 | 10 | 5 | 9 | 27:30 | 35 |
| ბორჯომი | 24 | 9 | 4 | 11 | 28:30 | 31 |
| მგლები | 24 | 9 | 3 | 12 | 22:29 | 30 |
| სიონი | 24 | 7 | 5 | 12 | 24:33 | 26 |
| ლოკომოტივი | 24 | 6 | 6 | 12 | 18:28 | 24 |
| სპარტაკი | 24 | 4 | 8 | 12 | 12:27 | 20 |
| მერანი | 24 | 6 | 1 | 17 | 15:48 | 19 |
| ბათუმი | 24 | 4 | 3 | 17 | 15:47 | 15 |
| დილა | 24 | 1 | 5 | 18 | 12:50 | 8 |

**ბომბარდირები**

14 - მ. ხუციშვილი — *დინამო*
13 - დ. ტატანაშვილი — *ამერი*
12 - გ. მერებაშვილი — *დინამო*
11 - ჟ. ვიეირა — *ზესტაფონი*

**25-ე ტური**

11 მაისი, კვირა
ბორჯომი – სიონი
ვიტ ჯორჯია – მგლები
სპარტაკი – დილა
დინამო – ლოკომოტივი
მერანი – ოლიმპი
ბათუმი – ზესტაფონი
ამერი – მესხეთი

**26-ე ტური**

20 მაისი, სამშაბათი
ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – ამერი
მგლები – ბორჯომი
ლოკომოტივი – ბათუმი
დილა – დინამო
სიონი – მერანი
მესხეთი – ვიტ ჯორჯია




# გამარჯვება გოგიტას სულს მივუძღვენით!

## მათე ვაწაძე: ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია

**საქართველოს ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია — თბილისის „დინამომ“ სტუმრად „ზესტაფონს“ მოუგო, „ვიტ ჯორჯია“ კი „ამერთან“ დამარცხდა და დინამოელები მეცამეტედ გახდნენ ჩემპიონები. ზესტაფონურ შეხვედრაში ერთადერთი გოლი მათე ვაწაძემ გაიტანა და ჩვენც გუშინ მას შევეხმიანეთ...**

— ზესტაფონში ძალიან ცუდ გუნებაზე ჩავედით — რამდენიმე დღით ადრე ხომ დიდი ტრაგედია მოხდა, ჩვენი გუნდის ექიმი გოგიტა ლობჟანიძე დაიღუპა. ყველას გვიძნელდებოდა თამაშზე ფიქრი. კარგია, რომ ზესტაფონში გავინაღდეთ ჩემპიონობა და ეს გამარჯვება გოგიტას სულს მივუძღვენით, მინდა ამისთვის ბიჭებს მადლობა ვუთხრა.

**— შენს გოლზე რას იტყვი?**

— გოლს რომ გაიტან, ერთი ბედნიერება ეგაა და როცა ამ გოლით ჩემპიონი გახდები, შეუდარებელი გრძნობაა.

**— ბოლო მატჩებში დუშან უჰრინი მარცხენა ნახევარმცველად გათამაშებს, არადა, ამპლუით თავდამსხმელი ხარ...**

— თავდასხმაში მირჩევნია, მაგრამ სადაც მწვრთნელი თვლის საჭიროდ, იქ ვთამაშობ.

**— ჩემპიონი გახდი და ალბათ დუბლის შესრულებაც გსურს...**

— „ზესტაფონს“ პირველი მატჩის შემდეგ მცირე უპირატესობა აქვს, თანაც რამდენიმე კაცი დაგვაკლდება — დიღმელაშვილი, ხმალაძე, მერებაშვილი. თუმცა ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და თასიც მოვიპოვოთ.

**— შენს ყველაზე დიდ ნაკლად რას მიიჩნევ?**

— ძალიან ბევრი რამ მაქვს დასახვეწი. წლეულს წარმატებული სეზონი კი მქონდა, მაგრამ ვთვლი, რომ ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია, ბევრი უნდა ვიშრომო და ვისწავლო.

**ნუკრი ლოლაძე**



# კოკა მიქუჩაძე — უფრო საქართველო, ვიდრე ისრაელი




**კოკა მიქუჩაძეს** ნაზარეთის „ჰაპოელთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და, სავარაუდოდ, საქართველოს რომელიმე კლუბში გააგრძელებს კარიერას. ამბობენ, მას რუსთავის „ოლიმპი“ ეპატიჟებაო.

მიქუჩაძის შეძენა სხვა გუნდებსაც სურთ და ვნახოთ, თვითონ ფეხბურთელი რას გადაწყვეტს.

კოკამ გვითხრა, ისრაელის სხვა გუნდებისგან არის ჩემდამი დაინტერესება, მათ შორის უმაღლესი ლიგიდანაცო.

სხვათა შორის, 27 წლის ფორვარდის დაბრუნება ბეერშევას „ჰაპოელს“ სურს — მიქუჩაძე იქ შარშანწინ გადავიდა, ერთი სეზონი გაატარა და გუნდის საუკეთესო მეგოლეც გახდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ჭელიძის პირველი წაფორხილება

**ყაზახეთის** სუპერლიგის მე-8 ტურში კვლავ ვერ მოიგო რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა ყარაგანდის „შახტიორმა“ — შინ „ასტანას“ 1:1 დაუზავდა.

მასპინძელთა შორის ლაშა ნოზაძემ სრულად ითამაშა.

ახლა „შახტიორი“ ჩემპიონატში მე-8 ადგილზეა.

გათამაშების ლიდერი ყიზილორდას „ქაისარი“, რომელშიც ქართველი ლაშა ჭელიძე თამაშობს, შინ „ოკჟეტპესს“ დაუხვდა და 1:2 დამარცხდა.

ჭელიძემ შეუცვლელად ითამაშა.

ძმებ ზვიად და გიზო ჯელაძეების უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკი“ კი სტუმრად 1:2 დამარცხდა პეტროპავლოვსკის „ესილ-ბოგატირთან“.

ზვიადმა სრულად ითამაშა, ხოლო გიზო 74-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

„ვოსტოკი“ სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილზეა.

**კახა შალამბერიძე**

# ცხადაძემ, მარცხს არ ვიმსახურებდითო

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის 23-ე ტურში მეორეადგილოსანმა ბაქოს „ნეფთჩიმ“ გიორგი ადამიას მიერ 53-ე წუთზე გატანილი პენალტით სტუმრად 1:0 დაამარცხა ევლახის „ქარვანი“.

ადამია 75-ე წუთზე შეცვალეს, მასპინძელთა შორის კი 90-90 წუთი ითამაშეს გოჩა ტრაპაიძემ და რომან ახალკაცმა.

ტოვუზის „თურანმა“ შინ „გაბალას“ 4:2 სძლია. ტოვუზელმა ირაკლი ბერაია შეუცვლელად გაისარჯა, რაც შეეხება „გაბალას“, მეკარე ზურაბ მამალაძე და მცველი ირაკლი ვაშაკიძე ძირითადში იყვნენ, ნახევარმცველი თორნიკე აფციაური კი მე-60 წუთზე გამოჩნდა და ათ წუთში გოლიც გაიტანა.

დედაქალაქური „ბაკი“ სტუმრად ლენქორანის „ხაზარს“ უგოლოდ გაეყარა. ბაქოელთა ძირითადში ალექსანდრე გოგობერიშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ამირან მუჯირი კი არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე შეცვლაზე შევიდა.

ზაქათალის „სიმურგი“ შინ ლიდერ ბაქოს „ოლიმპიკს“ შეხვდა (0:0).

მასპინძელთა გუნდში დავით ბოლქვაძე და კახა ჩხეტიანი ძირითადში იყვნენ. ბოლქვაძე 72-ე წუთზე შეცვალეს, ჩხეტიანი კი სრულად გაისარჯა.

„მასალი“ სტუმრად სუმგაითის „გიანჯლარბირლიისთან“ 0:1 დამარცხდა. „მასალიში“ ბორის გონჩაროვმა შეუცვლელად ითამაშა.

ბაქოს „სტანდარდის“ ქართველი მწვრთნელი კახა ცხადაძე კი თვლის, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატის 23-ე ტურში მისი გუნდი აგდამის „ყარაბახთან“ მარცხს (0:1) არ იმსახურებდა.

„მეტოქეზე სუსტად ნამდვილად არ გვითამაშია. მართალია, გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ მაინც არ უნდა წაგვეგო“ — განაცხადა ცხადაძემ.

ამ მარცხის შემდეგ ცხადაძის „სტანდარდი“ ცხრილში მე-10 ადგილამდე დაქვეითდა.

**კახა შალამბერიძე**

# იტალია და ისევ დონადონი?

**დიდი** შანსია, საქართველოს ნაკრები 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლშიც რობერტო დონადონის იტალიას შეხვდეს.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დონადონის კონტრაქტის გაგრძელება უკვე შესთავაზა და ვნახოთ, რას იტყვის „სკუადრა აძურას“ ამჟამინდელი თავკაცი.

დონადონის მოქმედი კონტრაქტი ივლისში უმთავრდება.

**კახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ინტერი 2:1 | 90 | | 28 | 0 | 4 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | შ | უდინეზე 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 19 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | დერბი 3:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 17 | 0 | 7 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ლუშტენაუ | შ | აუსტრია (მ) 1:2 | 90 | | 11 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰანოვერი 1:1 | 0 | სათადარიგო | 12 | 1 | 3 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | ჰერტა 1:3 | 90 | საგოლე პასი | 26 | 0 | 10 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | ფრაიბურგი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 10 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | მიუნხენ 1860 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 5 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | შ | ოსნაბრიუკი 1:1 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 17 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | შ | ოსნაბრიუკი 1:1 | 90 | | 16 | 0 | 17 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | შ | ოსნაბრიუკი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 17 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | შ | ესპანიოლი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 20 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ლუჩ-ენერგია 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | შ | ლუჩ-ენერგია 2:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 2 |
| დავით კვირკველია | რუბინი | შ | სპარტაკი 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 2 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 0:3 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | სპარტაკი 0:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | მოსკვა 0:3 | 0 | დისკვალიფიკაცია | 7 | 0 | 12 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | მოსკვა 0:3 | 90 | | 8 | 0 | 12 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | მოსკვა 0:3 | 63 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 12 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | ს | ლოკომოტივი 2:2 | 90 | | 8 | 1 | 15 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გედევან დარასელია | ტორპედო | შ | ბალტიკა 0:2 | 0 | | 0 | 0 | 19 |
| ვალერი აბრამიძე | ანჟი | ს | მაშუკი 1:1 | 90 | | 8 | 1 | 5 |
| გიორგი ნავალოვსკი | ანჟი | ს | მაშუკი 1:1 | 90 | | 7 | 0 | 5 |
| მიხეილ აშვეთია | ანჟი | ს | მაშუკი 1:1 | 77 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 7 | 2 | 5 |
| ზურაბ არზიანი | ანჟი | ს | მაშუკი 1:1 | 0 | | 4 | 0 | 5 |
| რევაზ ჯიქია | ანჟი | ს | მაშუკი 1:1 | 0 | | 2 | 0 | 5 |
| გოჩა ხოჯავა | ანჟი | ს | მაშუკი 1:1 | 90 | გააძევეს | 8 | 1 | 5 |
| რევაზ ბარაბაძე | ანჟი | ს | მაშუკი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 5 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | კუზბასი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 15 |
| გია გრიგალავა | სკა | ს | ვოლგა 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 11 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | ს | ლუცერნი 0:4 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 21 | 1 | 10 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | ს | ტეპლიცე 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 6 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | ს | ჟილინა 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 4 | 0 | 3 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ოლბორგი 0:1 | 90 | | 9 | 0 | 11 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ზაკარპატიე 4:1 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | ზაკარპატიე 4:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი | ს | მეტალისტი 0:2 | 0 | | 7 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ზარია | შ | ნეფტიანიკი 1:0 | 0 | | 20 | 0 | 12 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | შ | ნეფტიანიკი 1:0 | 86 | 1 გოლი, შეცვალეს | 4 | 1 | 12 |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა | შ | მ. დონეცკი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | ტავრია 1:0 | 0 | | 20 | 3 | 4 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | ტავრია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი | შ | კარპატი 2:0 | 0 | | 18 | 3 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ინტერმა 0:2-ზე გაიღვიძა



რობერტო მანჩინი

**„ინტერმა“** „მილანთან“ დერბი წააგო და საქმე გაირთულა. „რომასთან“ სხვაობა ახლა 6-ის ნაცვლად, 3 ქულაა და „ნერაძურის“ ცოტა უფრო მეტად მოუწევს ნერვიულობა, თუმცა ინტერელთა ბანაკში სიმშვიდეს ინარჩუნებენ.

„წავაგეთ, მაგრამ, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. ზეიმი მაშინ იქნება, როცა სკუდეტოს ოფიციალურად გავინაღდებთ. ბოლო პერიოდში ვფიქრობდი, რომ ეს 37-ე ტურში „სიენასთან“ მატჩში მოხდებოდა. პირველ ტაიმში „მილანმა“ კარგად ითამაშა, მაგრამ მეტოქეს გავუმკლავდით. თუმცა მეორე ნახევრის დებიუტშივე გაგვიტანეს და როცა მეორე გოლი გავუშვით, სათანადოდ მერელა ავთამაშდით. ვფიქრობ, ფრე დავიმსახურეთ, მაგრამ არა უშავს“ — აღნიშნა „ნერაძურის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი: „პირველ ტაიმში აშკარა იყო, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდათ. ისინი მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა უკვე 0:2-ს ვაგებდით და გვიანი იყო. სამწუხაროა, რომ ამ მატჩისთვის სათანადოდ ვერ განვეწყვეთ. ძალიან მინდოდა, ეს დერბი მოგვეგო. რას ვიზამთ, ახლა მხოლოდ სკუდეტოზე გადავერთეთ და იმედია, ჩემპიონობას მომავალ ტურში მოვიპოვებთ“.

„საკუთარ თავს მშვენიერი საჩუქარი მივუძღვენით — დერბი მოვიგეთ და ოთხეულში დავბრუნდით. „რომამ“ წინ დიდი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ალბათ მაინც ძალიან გაუჭირდება ორ ტურში „ინტერის“ გადასწრება. ვფიქრობ, „ნერაძური“ სკუდეტოს მომავალ კვირას „სიენასთან“ მოგებით გაინაღდებს. „ინტერმა“ მატჩი ფრთხილად დაიწყო და ნაკლებად გვიტევდა. ეს ხელს გვაძლევდა, რადგან ალესანდრო ნესტასა და მასიმო ამბროზინის მეტი თავისუფლება მიეცათ. საბოლოო ჯამში დამსახურებულად მოვიგეთ. მიმდინარე სეზონში კაკას, რონალდოს, ალეშანდრე პატოსა და ფილიპო ინძაგის ტრავმებმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. შეგახსენებთ, რომ პიპო სამი თვე არ გვყავდა, ახლა კი, როცა ფორმაშია, თავად ხედავთ, როგორ თამაშობს“ — თქვა „მილანის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ.

„როსონერის“ გენერალური მენეჯერი ადრიანო გალიანი: „ჩვენ 75 წუთი ვდომინირებდით და „ინტერი“ მხოლოდ ბოლო 15 წუთში გააქტიურდა. ვფიქრობ, სრულიად დამსახურებულად ვიმარჯვეთ და, საბედნიეროდ, ყველაფერს ჩვენს ხელშია, თუ დარჩენილ ორ მატჩს მოვიგებთ, მეოთხე ადგილში ნამდვილად ვერავინ შეგვეცილება“.

„კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ეს გრძნობა დიდი ხანი გვაკლდა. აქამდე მიჯრით სამი დერბი წავაგეთ, მაგრამ ამჯერად მატჩი მშვენივრად ჩავატარეთ და გახარებულები ვართ“ — ღიმილით განაცხადა შეხვედრის გმირმა, კაკამ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ხან გიმართლებს, ხან არა...

**ლუჩანო სპალეტის** „რომამ“ ბოლო 15 წუთში სამი გოლით ამოავსო „სამპდორია“ და გენუიდან სამი ქულა წამოიღო, რითაც მეორე ადგილი გაინაღდა, თან „გლადიატორები“ პატარა სასწაულის იმედსაც იტოვებენ, ეგებ „ინტერს“ ფეხი კიდევ ერთხელ დაუცდეს და სკუდეტო მოვიპოვოთო.

„სხვაობა 3 ქულამდე შევამცირეთ და ახლა კიდევ უფრო გვწყდება გული „ლივორნოსთან“ სულელურად დაკარგულ 2 ქულაზე. იმ მატჩი რომ მოგვეგო, სულ სხვა ვითარება იქნებოდა. ფეხბურთში ყველა მცირე დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ ხდება, რომ კარგად თამაშობ და ვერ იგებ, ზოგჯერ — პირიქით. „სამპდორია“ პირველ ტაიმში უფრო მოტივირებული იყო და გვიტევდა. საბედნიეროდ, ზეწოლას გავუძელით, მეორე ნახევარში თამაში გამოვასწორეთ და ძალიან საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ“ — თქვა სპალეტიმ.

„ჯალოროსის“ მეკარე ალეშანდერ დონი: „ძნელი იქნება სკუდეტოს მოპოვება, მაგრამ გვჯერა, რომ ამას შევძლებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ. რაც უნდა მოხდეს, სეზონს თავაწეულები დავამთავრებთ“.

„თითქმის ბრწყინვალე მატჩი ჩავატარეთ. ორჯერ ხარიხას გავარტყით ბურთი. რამდენჯერმე დონიმ იხსნა „რომა“ და საბოლოოდ, სამწუხაროდ, უქულოდ დავრჩით. როცა „ჯალოროსის“ დარ კლუბთან ყველაფრიხ ფასად მოგებას ცდილობ, ცხადია, მეტოქეს კონტრიერიშების ჩინებული შანსები რჩება და „რომამაც“ ამით ისარგებლა. არ გაგვიმართლა, მაგრამ არ გავტყდებით და ვეცდებით, სეზონი რაც შეიძლება კარგად ჩავამთავროთ“ — თქვა გენუელთა თავკაცმა მაცარიმ.

**ძოძი ძანდელაძი**



ლუჩანო სპალეტი

# თვითმკვლელობის მცდელობა

**სერია B-ს** მატჩი „ტრევიზოსა“ და „გროსეტოს“ შორის 20 წუთის დაწყებული იყო, როცა შეწყდა. „გროსეტო“ 1:0-ს იგებდა, თუმცა „ტრევიზოს“ ულტრასებმა მსაჯის და სხვათა ყურადღება მიიქციეს, რაღაც სერიოზული მოხდაო. ყოველივეს წინ გასროლის ხმა უძღოდა.

როგორც გაირკვა, „სტადიო ტენისთან“ მყოფმა 42 წლის პოლიციელმა ქალბატონმა თვითმკვლელობა სცადა და თავში ისროლა. მისი კოლეგა, რომელიც ხელის შეშლას ლამობდა, მსუბუქად დაშავდა.

თავდაპირველად ამბობდნენ, ქალბატონი გარდაიცვალაო, თუმც მოგვიანებით გაირკვა, რომ მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარეს და მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ გადარჩა. ამ ტრაგიკული ინციდენტის სხვა დეტალები ჯერ უცნობია.

# სად წავა ბობო?

**ფაქტობრივად** გადაწყვეტილია, რომ სეზონის ბოლოს კრისტიან ვიეირი „ფიორენტინას“ დატოვებს. თუმცა ვეტერანი ფორვარდი კარიერის დასრულებას არ აპირებს. „ბობოს“ არაერთი მსურველი ჰყავს — „ნაპოლი“, „ტოტენჰემი“...

შეგახსენებთ, რომ ვიერის კარიერა 1989 წელს დაიწყო. მას ნათამაშები აქვს „ტორინოში“, „პიზაში“, „რავენაში“, „ვენეციაში“, „ატალანტაში“, „იუვენტუსში“, „ატლეტიკოში“, „ლაციოში“, „ინტერში“, „მილანში“, „მონაკოსა“ და „ფიორენტინაში“. ცოტა ხანი „სამპდორიაშიც“ ირიცხებოდა, მაგრამ კლუბს რაღაცაზე ვერ შეუთანხმდა და გენუელები მალევე დატოვა უთამაშებლად.

# შვარცერი იუვეში მირდის?

**„კორიერე დელო სპორტის“** ცნობით, მომავალი სეზონიდან „იუვენტუსში“ ჯანლუიჯი ბუფონის დუბლიორი მარკ შვარცერი იქნება. „მიდლსბროს“ ავსტრალიელი მეკარე ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება და მას ბევრი კლუბი უტრიალებს.

ბოლო პერიოდში შვარცერი „ფიორენტინას“, „ტოტენჰემს“, „სიტის“, „ბაიერნს“, „სელტიკსა“ და სხვა კლუბებს დაუკავშირეს. თუმცა „კორიერე დელო სპორტი“ ირწმუნება, რომ „იუვენტუსმა“ ყველას დაასწრო და გოლკიპერთან წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწია.

# სოსა სამშობლოში დაბრუნდა

**„ნაპოლის“** ფანების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფეხბურთელიმ რობერტო სოსა ბოლო ხანებში „ვეზუვიანში“ ირიცხება. სოსას წინასწარ ჰქონდა ნათქვამი, რომ სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა და შეიძლებოდა, ეს სეზონის ბოლომდე გაეკეთებინა. კლუბმა მას არანაირი პრობლემა არ შეუქმნა.

სოსა მშობლიურ „ხიმნასია ლა პლატაში“ დაბრუნდა, სადაც დაასრულებს კიდეც კარიერას. 33 წლის თავდამსხმელმა ამ კლუბში დაიწყო და აქამდე მასში ორჯერ თამაშობდა. იტალიაში კი მან ცხრა წელი გაატარა — „უდინეზეში“, „ასკოლიში“, „მესინასა“ და „ნაპოლიში“ ირიცხებოდა.

# სპორტინგი დერლეის იხანგრძლივებს

**ლისაბონის** „სპორტინგმა“ თავის ბრაზილიელ ფორვარდ დერლეის კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზა. სავარაუდოდ, 32 წლის ფორვარდი ამ წინადადებას სიამოვნებით დათანხმდება. მიმდინარე სეზონში მას ტრავმის გამო 7 თვე გაუცდა.

ამასობაში, ლისაბონელებს გუნდის არგენტინელი ლიდერი ლისანდრო ლოპესი დაუშავდათ, ვინც მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებს.

# მაქსველი ინტერს ემუქრება

**ბრაზილიელი** მცველი მაქსველი, რომელსაც „ინტერთან“ კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, კლუბს თხოვს, ახალი შეთანხმება სასწრაფოდ გაუფორმოს და ხელფასი გაუზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მაქსველი „სან სიროდან“ წასვლით იმუქრება.

27 წლის ფეხბურთელის აგენტ მინო რაიოლას თქმით, მაქსველით „არსენალი“, „ჩელსი“ და „რეალი“ არიან დაინტერესებულნი.

ბარსას სესკის დაბრუნება უნდა

კატალონიური „ბარსელონა“ თავისი აღზრდილი სესკ ფაბრეგასის ხელში ჩაგდების იმედს არ კარგავს. ამბობენ, კლუბი მზადაა, „არსენალს“ 21 წლის ვარსკვლავში 42 მილიონი ევრო გადაუხადოს, ან ნაკლები თანხა და რომელიმე ფეხბურთელი დაუთმოს ოთხი კანდიდატიდანო. საუბარია, სამუელ ეტოოზე, ეიდურ გუდიონსენზე ან ყოფილ „მეთოფეტიერი ანრიზეა.

**ძოძი ძანდელაძი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამოსმა მადრიდი პუერტას უძღვნა



**სერხიო რამოსს** დიდმა სიხარულმა გარდაცვლილი მეგობარი ვერ დაავიწყა. საუბარია ანტონიო პუერტაზე, რომელიც 28 აგვისტოს გულის შეტევით დაიღუპა. პუერტა და რამოსი თავის დროზე ერთი გუნდის, „სევილიას" ფეხბურთელები იყვნენ.

დღეს სერხიო მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში სხვა თანაგუნდელებთან ერთად სამეფო გუნდის 31-ე ჩემპიონობას ზეიმობს, თუმცა სევილიელის გულში ძმაბიჭის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ალბათ სამუდამოდ დარჩება. მადრიდში სიბელესის შადრევანთან სალაღობოდ მისულ რამოსს ყელზე ანდალუზიის ავტონომიის დროშა ჰქონდა მოხვეული, მის მაისურაზე კი ანტონიო პუერტას სურათი იყო წარწერით: „შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ".

**ლადო ხომერიკი**



# ათ დღეში სამეფოს ვილიაც მიაკითხავს

**„ვალენსია"** დავიდ ვილიას დაკარგვასთან ასე ახლოს არასოდეს არ ყოფილა. „რეალის" აგენტებმა ნაყოფიერად იმუშავეს და თუ ესპანური „მარკას" ვარაუდი გამართლდა, „ელ გუახეს" მადრიდული ტრანსფერი 10 დღეში მოგვარდება. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ სიტყვიერ შეთანხმებას წინ ვერაფერი დაუდგებაო — გვამცნობს „მარკა".

ვილიას მიზანი „რეალში" თამაშია, სამეფო გუნდისა კი — „ელ გუახეს" მსგავსი ფორვარდის შეძენა. ბერნდ შუსტერს ეს ფეხბურთელი ფრიად მოსწონს, ამიტომაც უფროსობისთვის მისი გუნდში მიყვანაზე თანხმობა უკვე განუცხადებია. პრეზიდენტი კალდერონიც მორიგ სამეფო თეთრ მაისურას ამზადებს დავიდისთვის.

და „ვალენსია"? „ღამურები" ახლა კრიზისში არიან, ფული სჭირდებათ და ალბათ მადრიდიდან წამოსულ ცდუნებას, ესე იგი „რეალის" მიერ დავიდ ვილიას. სანაცვლოდ გამეტებულ 35 მილიონ ევროს, ვერ გაუძლებენ. საქმე იქითკენ მიდის, რომ „ელ გუახეს" გაისად „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოჭირითეს ვიხილავთ.

**ლადო ხომერიკი**

# ფლამინი და მილანი დადასტურდა



**იტალიურმა** „მილანმა" ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია, რომ მატიე ფლამინი სეზონის ბოლოს „არსენალს" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს და „როსონერიში" ჩაირიცხება. ფრანგი თავის ახალ გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ამბობენ, მისი ხელფასი სეზონში, დაახლოებით, 6,5 მილიონი ევრო იქნებაო.

„ყველაფერი შეთანხმებულია, ფლამინისთან ოთხწლიანი კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმებაღა დარჩა. რაც შეეხება რონალდინიოს, მის ტრანსფერს ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი, ახლა კი თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ იგი არ გვჭირდება" — თქვა „მილანის" მმართველმა სილვიო ბერლუსკონიმ.

„ძალიან ბედნიერი ვარ და ყველას მადლობას ვუხდი" — განაცხადა ფლამინიმ „მილანელოზე" სამედიცინო ტესტირების შემდეგ.

**კოკი კანდელაკი**

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოხუმი | : | შალკე |
| დორტმუნდი | : | შტუტგარტი |
| ჰანოვერი | : | ჰანზა |
| კარლსრუე | : | კოტბუსი |
| **ხვალ** | | |
| ჰამბურგი | : | ვერდერი |
| ლევერკუზენი | : | ჰერტა |
| ბაიერნი | : | არმინია |
| აინტრახტი | : | ვოლფსბურგი |
| ნიურნბერგი | : | დუისბურგი |

## გერმანია

# ორი მთავარი: თავში და ბოლოში

**ჩემპიონმა** „ბაიერნმა" ხვალ „არმინიასთან" ჩემპიონურად უნდა ითამაშოს, რათა ქომაგებს „ზენიტთან" მარცხით გამოწვეული გულისტკივილი დაუამოს და „ვოლფსბურგთან" ნაჩვენები უსახური ფეხბურთიც დაავიწყოს.

ამ სეზონში მეორედ მოხდა, რომ მიუნხენელებმა ზედიზედ ორ მატჩში ვერ გაიტანეს. ასე იყო დეკემბრის დასაწყისში, როცა „დუისბურგთან" და „ჰერტასთან" უგოლო ფრეები მიაყოლეს, მაგრამ მერე უეფას თასზე „არისს" უმასპინძლეს და 6:0 მოუგეს. ამჯერად ბავარიელები „ზენიტს" და „ვოლფსბურგს" დაშორდნენ გოლგაუტანლად და ალბათ „არისის" ბედი ელის „არმინიასაც", რაკი უსუსური დაცვა ჰყავს და სტუმრად ყველაზე მეტი (38) გოლი გაუშვა.

მასპინძლებს ტრავმის გამო ჰამით ალტინთოფი და მიროსლავ კლოზე დააკლდებათ, შეტევაში კი ლუკა ტონი და ლუკაშ პოდოლსკი ითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნმა" „არმინიას" ბოლო შვიდი საშინაო მატჩიდან შვიდივე მოუგო.

2003 წლის თებერვლის შემდეგ ბრემენის „ვერდერს" ჰამბურგში არ წაუგია და თუ ამ ტრადიციას ხვალაც არ დაარღვევს, მეორე ადგილს შეინარჩუნებს.

ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია „ჰამბურგმა" წინა ტურში, სტუმრად „ჰანზას" ძლევით შეწყვიტა და რაკი გამარჯვების გემო გაიხსენა, შეეცდება, რომ „ვერდერსაც" სამი ქულა დაატოვებინოს.

დარჩენილ სამ ტურში ბრემენელებისთვის მეორე ადგილის წართმევა გაუჭირდებათ, მაგრამ „ჰამბურგი" მესამე საფეხურზეც არ იტყვის უარს, საიდანაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში მოხვდება.

„ვერდერს" ტრავმირებული დიეგო და დისკვალიფიცირებული ტორსტენ ფრინგსი ვერ დაეხმარებიან, ჰამბურგელებს კი რომეო კასტელენი და ვენსან კომპანი ჰყავთ დაშავებული.

ბუნდესლიგაში ადგილგანაღდებული „ბოხუმი" „შალკეს" უმასპინძლებს, რომლისთვისაც ბოლო ათ წელიწადში შინ მხოლოდ ერთხელ მოუგია. „ჰანოვერთან" ფრემ „ხუმარები" „ვერდერს" ორი ქულით დააშორა, მაგრამ დღეს თუ იმარჯვებენ, „მუსიკოსებს" სულ მცირე ერთი ღლით გადაასწრებენ. ბოხუმში მოგება კი იოლი არაა, რადგან ამ გუნდმა სახლში ოდენ ერთხელ წააგო და ამ მაჩვენებლით „ბაიერნის" გარდა ყველას სჯობნის.

„შალკეს" კრისტიან პანდერი და გუსტავო ვარელა, ხოლო „ბოხუმს" ტონი ბეხმანი და დანიელ იმჰოფი დააკლდება.

„დორტმუნდს" თავი ქუდში ჯერ არ აქვს და დასამშვიდებლად სამი ქულა სჭირდება. „შავ-ყვითლები" დღეს „შტუტგარტს" თუ დაამარცხებენ, ელიტიდან გავარდნა აღარ დაემუქრებათ, მაგრამ ვაი, რომ 2002 წლის მერე შინ „შტუტგარტისთვის" არც მოუგიათ და მეტიც — გოლიც კი არ გაუტანია.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ „დორტმუნდის" ამჟამინდელმა მოუგებელმა სერიამ ბუნდესლიგაში ხუთ მატჩს უწია.

„შტუტგარტს" ტრავმირებული ჰყავს ალექსანდერ ფარნერუდი, მასპინძლებს კი კრისტიან ვიორნსი, სებასტიან კელი, მლადენ პეტრიჩი და მეკარე მარკ ციგლერი.

ცხრილის თავში მთავარი მატჩი „ჰამბურგი" — „ვერდერია", ბოლოში კი „ნიურნბერგი" — „დუისბურგი". ორივე უკანასკნელი გავარდნის პირასაა და ხვალ ერთმანეთს სამი ქულისთვის შეასკდება. „დუისბურგი" იმ იმედით შეუტევს, რომ „ბაიერნი" „არმინიას" დაამარცხებს, თვითონ კი ნიურნბერგში გამარჯვების შემთხვევაში ქვედა სამეულს თავს დააღწევს.

**გაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 4:1 | 2:1 | 2:1 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 3:1 | | 5:0 | 5:0 | | 0:0 | 3:0 | 3:0 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | 5:1 | 2:1 | 4:1 | 5:2 | 0:1 | | 2:1 | 4:0 | 1:2 | 3:2 | 2:0 | 2:0 | 8:1 | 1:2 | 2:0 | 1:0 |
| 3 | შალკე | 0:1 | 1:1 | | 1:1 | 4:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | | 0:2 | 1:0 | 1:0 | 4:1 | 5:0 | 3:0 | 2:1 | 2:1 | 1:0 |
| 4 | ჰამბურგი | 1:1 | | 0:1 | | 4:1 | 1:0 | 2:2 | 1:1 | 4:1 | | 3:0 | 2:1 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 2:0 |
| 5 | შტუტგარტი | 3:1 | 6:3 | 2:2 | 1:0 | | 1:0 | 3:1 | 0:2 | 4:1 | 3:1 | 1:0 | 1:3 | 1:2 | 3:0 | | 1:0 | 3:0 | 4:1 |
| 6 | ლევერკუზენი | 0:1 | | 1:0 | 1:1 | 3:0 | | 2:2 | 2:0 | 0:2 | 3:0 | 2:0 | | 2:2 | 0:0 | 4:0 | 4:1 | 4:1 | 3:0 |
| 7 | ვოლფსბურგი | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 1:2 | | 3:2 | 2:2 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 4:0 | 3:0 | 1:3 | 2:1 | 3:1 | 1:0 |
| 8 | ჰანოვერი | 0:3 | 4:3 | 2:3 | 0:1 | 0:0 | 0:3 | 2:2 | | 2:1 | 2:2 | 3:2 | 2:2 | 2:1 | | 2:2 | 2:1 | 2:1 | |
| 9 | აინტრახტი | 1:3 | 1:0 | 2:2 | 2:1 | 1:4 | 2:1 | | 0:0 | | 0:1 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 2:1 | | 1:3 | 1:0 |
| 10 | კარლსრუე | 1:4 | 3:3 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 3:1 | 1:2 | 0:1 | | | 2:1 | 3:1 | | 0:0 | 1:0 | 2:0 | 1:2 |
| 11 | ბოხუმი | 1:2 | 2:2 | | 2:1 | 1:1 | 2:0 | 5:3 | 2:1 | 0:0 | 2:2 | | 1:1 | 3:3 | 3:3 | 3:0 | 1:1 | 3:3 | |
| 12 | ჰერტა | 0:0 | 1:2 | 1:2 | 0:0 | 3:1 | 0:3 | 2:1 | 1:0 | 0:3 | 3:1 | 2:0 | | 3:2 | 0:0 | 1:0 | 2:0 | | 1:3 |
| 13 | დორტმუნდი | 0:0 | 3:0 | 2:3 | 0:3 | | 2:1 | | 1:3 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 1:1 | | 3:0 | 6:1 | 1:3 | 0:0 | 1:0 |
| 14 | კოტბუსი | 2:0 | 0:2 | 1:0 | | 0:1 | 2:3 | 1:2 | 5:1 | 2:2 | 2:0 | 1:2 | 2:1 | 0:2 | | 1:0 | 1:2 | 1:1 | 2:1 |
| 15 | არმინია | 0:1 | 1:1 | 0:2 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 0:1 | 0:2 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 2:0 | | 1:1 | | 0:2 | 3:1 | 4:2 |
| 16 | დუისბურგი | | 1:3 | 0:2 | 0:1 | 2:3 | 3:2 | 1:3 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 0:2 | 1:2 | 3:3 | 0:1 | 3:0 | | 1:0 | 1:1 |
| 17 | ნიურნბერგი | 1:1 | 0:1 | | 0:0 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 2:2 | 5:1 | 0:2 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 1:1 | 2:2 | | | 1:1 |
| 18 | ჰანზა | 1:2 | 1:2 | 1:1 | 1:3 | 2:1 | | 0:1 | 0:3 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 3:2 | 1:1 | 2:0 | 1:2 | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | 31 | 19 | 10 | 2 | 59:18 | 67 | 10 | 5 | 0 | 35:7 | 35 | 9 | 5 | 2 | 24:11 | 32 |
| 2 | ვერდერი | 31 | 17 | 6 | 8 | 67:44 | 57 | 12 | 0 | 4 | 42:18 | 36 | 5 | 6 | 4 | 25:26 | 21 |
| 3 | შალკე | 31 | 15 | 10 | 6 | 49:32 | 55 | 9 | 4 | 3 | 28:13 | 31 | 6 | 6 | 3 | 21:19 | 24 |
| 4 | ჰამბურგი | 31 | 13 | 12 | 6 | 40:23 | 51 | 8 | 5 | 2 | 23:10 | 29 | 5 | 7 | 4 | 17:13 | 22 |
| 5 | შტუტგარტი | 31 | 16 | 3 | 12 | 53:48 | 51 | 12 | 1 | 3 | 37:17 | 37 | 4 | 2 | 9 | 16:31 | 14 |
| 6 | ლევერკუზენი | 31 | 14 | 6 | 11 | 54:36 | 48 | 9 | 4 | 2 | 31:10 | 31 | 5 | 2 | 9 | 23:26 | 17 |
| 7 | ვოლფსბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 47:42 | 45 | 6 | 6 | 4 | 24:17 | 24 | 6 | 3 | 6 | 23:25 | 21 |
| 8 | ჰანოვერი | 31 | 11 | 10 | 10 | 46:50 | 43 | 6 | 5 | 4 | 25:27 | 23 | 5 | 5 | 6 | 21:23 | 20 |
| 9 | აინტრახტი | 31 | 11 | 10 | 10 | 37:44 | 43 | 7 | 4 | 4 | 18:19 | 25 | 4 | 6 | 6 | 19:25 | 18 |
| 10 | კარლსრუე | 31 | 11 | 9 | 11 | 36:42 | 42 | 6 | 5 | 4 | 21:18 | 23 | 5 | 4 | 7 | 15:24 | 19 |
| 11 | ბოხუმი | 31 | 9 | 11 | 11 | 44:48 | 38 | 5 | 9 | 1 | 31:23 | 24 | 4 | 2 | 10 | 13:25 | 14 |
| 12 | ჰერტა | 31 | 10 | 8 | 13 | 35:39 | 38 | 8 | 3 | 5 | 20:18 | 27 | 2 | 5 | 8 | 15:21 | 11 |
| 13 | დორტმუნდი | 31 | 9 | 9 | 13 | 43:54 | 36 | 6 | 5 | 4 | 24:18 | 23 | 3 | 4 | 9 | 19:36 | 13 |
| 14 | კოტბუსი | 31 | 8 | 8 | 15 | 32:51 | 32 | 7 | 2 | 7 | 23:20 | 23 | 1 | 6 | 8 | 9:31 | 9 |
| 15 | არმინია | 31 | 8 | 8 | 15 | 31:54 | 32 | 7 | 3 | 6 | 19:16 | 24 | 1 | 5 | 9 | 12:38 | 8 |
| 16 | დუისბურგი | 31 | 8 | 5 | 18 | 32:46 | 29 | 3 | 3 | 10 | 17:26 | 12 | 5 | 2 | 8 | 15:20 | 17 |
| 17 | ნიურნბერგი | 31 | 6 | 10 | 15 | 33:48 | 28 | 4 | 7 | 4 | 19:16 | 19 | 2 | 3 | 11 | 14:32 | 9 |
| 18 | ჰანზა | 31 | 7 | 6 | 18 | 27:46 | 27 | 5 | 4 | 7 | 16:19 | 19 | 2 | 2 | 11 | 11:27 | 8 |

# პეპელა და ფუტკარი



ტურის გმირი კაკა



ტურის უიღბლო პატრიკ ვიეირა

**„მილანმა“ „ინტერს“ „დერბი დელა მადონინა“ მოუგო და ნანატრ მეოთხე ადგილზე აცოცდა, რადგან „ფიორენტინამ“ სარდინიაზე „კალიარისთან“ წააგო. 36-ე ტურის გამორჩეული ფიგურა „როსონერის“ ბრაზილიელი ლიდერი კაკაა. დანარჩენს channel4.com-ის ტრადიციული ჩანახატიდან შეიტყობთ**

## გამარჯვებულები

***კაკა (მილანი)*** — ეს მისი საუკეთესო სეზონი არ არის, რაც ტრავმის ბრალიცაა, თუმცა ბრაზილიელი უკვე ბოლომდე ჯანზეა და ამტკიცებს, თუ რატომ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად. კაკამ „ინტერს“ გეგმები აურია. მან ერთი გოლი ფილიპო ინძაგის გაატანინა, მეორე კი თავად შეაგდო და ყოველივე უმაღლესი კლასის დემონსტრირებით გააკეთა. კაკა ფეხბურთის მუჰამედ ალია — ფარფატებს როგორც პეპელა და იკბინება როგორც ფუტკარი.

***ნიკოლა ამორუზო (რეჯინა)*** — როგორც ჩანს, რეჯოკალაბრიელები კიდევ ერთ „დიდ გადარჩენას“ ახორციელებენ. ამორუზოს დუბლით „რეჯინამ“ „კატანიასთან“ სეზონში პირველი საგარეო მატჩი მოიგო. სხვათა შორის, გამოცდილ თავდამსხმელს 23 თებერვლის მერე არ გაეტანა.

***მარიო ბერეტა (სიენა)*** — კვირას ტოსკანელებმა ოფიციალურად გაინაღდეს სერია A-ში დარჩენა და ამის აღსანიშნავად ფეხბურთელებმა მწვრთნელი ჰაერში აიტაცეს. ბერეტამ „სიენა“ მშვენიერ ფორმაში მყოფ „იუვენტუსთან“ კარგად ათამაშა და დამსახურებულად მოაგებინა. მარიო „არტემიო ფრანკის“ ბინადართა თავკაცად ნოემბერში დაბრუნდა, როცა გუნდი ანდრეა მანდორლინის ხელში 12 თამაშიდან 9 ქულით ცხრილის ფსკერზე იყო. „სიენა“ თებერვლამდე გასავარდნ ზონაში ტრიალებდა, ახლა კი თავს მშვიდად გრძნობს.

## დამარცხებულები

***პატრიკ ვიეირა (ინტერი)*** — აქ „ნერაძურის“ მთელი შემადგენლობა შეგვიძლია, ჩამოვწეროთ, მაგრამ ვიეირა მაინც გამოირჩეოდა. მეორე გოლი ფრანგის შეცდომას მოყვა. სკუდეტო ერთ ნაბიჯში იყო და, წესით, ამაზე მეტი მოტივაცია გუნდს არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ინტერელები უნიათოდ გამოიყურებოდნენ. ეს თითქოს ჩვევაში გადაუვიდათ...

***ადრიან მუტუ (ფიორენტინა)*** — ფლორენციელებს ურთულესი კვირა ჰქონდათ და „კალიარისთან“ წინ ლიდერიც უნდა გასძღოლოდათ, თუმცა რუმინელმა თამაში ჩააგდო, რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენა, ხოლო მატჩის მიწურულს სტეფანო ფარინას უაზროდ გააგდებინა თავი. მომავალ ტურში მუტუ თავის ყოფილ გუნდ „პარმასთან“ ვერ ითამაშებს.

***ანტონიო ფილიპინი (ლივორნო)*** — საშინელი სანახავი იყო, როცა მისი თამადობით ტოსკანელთა კიდევ რამდენიმე მოთამაშე სიმონე პადოინს გამოეკიდა, თითქოს ის დამნაშავე ყოფილიყოს მატჩის მიწურულს გოლის გატანაში. „ატლანტამ“ 3:2 მოიაგო, ხოლო „ლივორნოს“ ცუდი სეზონი აქვს და ასეთი საქციელით ნამდვილად იმსახურებს გავარდნას.

## გოლები

***ფილიპო ინძაგი (მილანი)*** — კაკამ მარჯვენა ფლანგზე მარკო მატერაცი ჩამოიშორა და კარგი პასი გააკეთა, „სუპერპიპომაც“ ახლოდან მშვენიერი თავურით შანსი არ დაუტოვა ჟულიო სეზარს.

***ჰუსინ ხარია (სიენა)*** — რაღაც განსაკუთრებული უნდა გაახერხო, ჯანლუიჯი ბუფონს რომ აჯობო. წარმოშობით მაროკოელმა ფრანგმა ჯორჯო კიელინის შეცდომით ისარგებლა და „იუვენტუსის“ მეკარესაც გაუსწორდა.

***დავიდ პისარო (რომა)*** — ჩილელმა დაახლოებით 20 მეტრიდან ბრწყინვალედ მოჭრა ბურთი, „სამპდორიას“ გოლკიპერი ანტონიო მორანტე უძლური იყო.

## რიცხვები

***დერბის დღე:*** ეს გახლდათ 267-ე „დერბი დელა მადონინა“, ხოლო სერია A-ში — 169-ე. საერთო ჯამში „მილანს“ 105 მოგებით, 90 წაგებითა და 72 ფრით უკეთესი მაჩვენებელი აქვს. იტალიის ჩემპიონატში „ნერაძურის“ უკეთესი შედეგი აქვს — 61 გამარჯვება, 57 მარცხი და 52 ფრე.

***„რომას“ რეკორდი:*** „ჯალოროსი“ მეორე ადგილზეა, მაგრამ საკლუბო რეკორდი უკვე დაამყარა — სეზონში 23 მოგება და 78 ქულა. ასეთი შედეგი „გლადიატორებს“ 2000-01 წლების სეზონშიც არ ჰქონდათ, როცა გუნდი 75 ქულითა და 22 მოგებით ჩემპიონი გახდა.

***ყველაფერი ან არაფერი:*** სეზონში პირველად, ტურში ფრედ არცერთი მატჩი არ დასრულებულა. ეს 2006-07 წლების სეზონის ბოლო ტურის მერე არ მომხდარა. მხოლოდ ერთი ფრე იყო მე-15, 21-ე, 27-ე და 34-ე ტურებში. აღვნიშნოთ ისიც, რომ კვირას დანიშნული 5 პენალტიდან მხოლოდ სამი გამოიყენეს. ემპოლელ სებასტიან ჯოვინკოს „უდინეზეს“ მეკარე სამირ ჰანდანოვიჩმა აუღო, „ლაციოს“ გოლკიპერმა ფერნანდო მუსლერამ კი ამაურის დარტყმული მოიგერია. საინტერესოა, რომ „პალერმოს“ გოლეადორმა „ლაციოსთან“ პირველი წრის შეხვედრაშიც გააცუდა პენალტი.

**გიორგი ძაძაგაძე**

# გაზა აბაზანაში

## გესქოინმა მანდარინში კოკაინი მოითხოვა, მილენიუმში დანა



წინა კვირის მთავარი ქალთა ტურნირი პრაღაში მიმდინარეობდა, სადაც სლავურ ფინალში ვერა ზვონარიოვამ ბელარუს ვიქტორია აზარენკას გვარიანი წვალებით მოუგო. როგორც იქნა, რუსმა ნავსი გატეხა და წლეულს ფინალში იზეირა. არადა, აქამდე ზედიზედ სამჯერ, ტიტულამდე ნაბიჯილა დააკლდა.

**ქახა ლომჯვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა ვარსკვლავი ყველასთვის

## ვიქტორ სანიკიძემ ყარა და ტენა



ვიქტორ სანიკიძე

**დავით უსტიაშვილი გუნდი 134:118 ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი**
**35:37 27:32 38:27 34:22**

**უსტიაშვილის გუნდი:** გამყრელიძე (9), ლეჟავა (19), მ. ბერიშვილი (11), სანიკიძე (41), სტეფანოვი (6); ბაბიაშვილი (14), დიდია (6), გულისაბედაშვილი (7), გვიმრაძე (3), ჭოჭუა (8), ჩიტაშვილი (10)
**ჭეიშვილის გუნდი:** ტულუში (18), ხეცურიანი (2), ფანჩულიძე (9), ბარბაქაძე (11), მათიაშვილი (29); ი. ბერიშვილი (18), დ. ბერიშვილი (9), შერმადინი (9), კეიდია (5), ნინიაშვილი (8), კორკოტაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

ხვალ ეროვნულ ჩემპიონატში პლეი ოფი იწყება და სანამ გადამწყვეტი ბრძოლები გაჩაღდებოდეს, სუპერლიგის წამყვანმა მოთამაშეებმა ოლ სტარით გაირთეს თავი. ყველა ვარსკვლავის მატჩებს ყველგან შოუს სახე აქვს. მასში არავინ იკლავს თავს დაცვით და კომბინაციების ხლართვით და ასე იყო გუშინ სპორტის სასახლეშიც, სადაც საკალათბურთო ღონისძიებაზე ამ სეზონში რეკორდულად ბევრი მაყურებელი მივიდა. ყველა ვარსკვლავის მატჩთან ერთად ტრადიციული შეჯიბრებებიც გაიმართა ჩატენვებში, სამქულიანებსა და დრიბლინგის სისწრაფეში. ჩვენც თანმიმდევრობით მივყვებით და საინტერესო მომენტებს გამოვარჩევთ

### მატჩი

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ამ შეხვედრაში დაცვა არ არსებობდა. მოთამაშეებმა ისე ღრმად გაითავისეს სანახაობრივი იდეა, რომ ერთმანეთს ხელს თითქმის არ უშლიდნენ. შესაბამისად, მოხდენილი მომენტებიც მრავლად იყო.

ვისაც რა ეხერხებოდა, იმას აკეთებდა. მაგალითად, თსუ-ელი დავით ბარბაქაძე და დინამოელი ვიქტორ სანიკიძე ჩასატენად იყვნენ ჩასაფრებულნი, ხოლო შედარებით დაბლები სწრაფ გარღვევებს და განსაკუთრებით სამქულიანებს ეძალებოდნენ.

პირველ მეოთხედში იმდენი ბურთი ჩავარდა (35:37), რომ ბევრ სუპერლიგის მატჩის ლამის ერთ ნახევარს ეყოფოდა.

თავისუფლება კი იყო, მაგრამ ხარვეზებიც ბლომად ვიხილეთ. არაერთხელ მოხდა, რომ ფარქვეშიდან სულ ცარიელმა მოთამაშემ აცილა, გაცუდებული ჩატენვებიც არ იყო იშვიათობა. თუმცა ამას ყურადღებას არავინ აქცევდა და ხალხიც გულიანად იხუვლებდა ხოლმე, როცა ვინმე მოხდენილად ჩააჭედებდა ბურთს კალათში.

ერთმა ეპიზოდმა კი განსაკუთრებულად გაახლისა გულშემატკივარი, როცა დავით ბერიშვილის გარღვევისას ბურთი ფარს ზემოთ, 24-წამიან მინი-ტაბლოსთან გაიჩხირა. სანამ მეორე ბურთს მოიტანდნენ ჩამოსაგდებლად, დავით უსტიაშვილის გუნდის წევრმა მიხეილ ჩიტაშვილმა ფეხსაცმელი გაიხადა, ზემოთ შერჩენილ ბურთს ესროლა და ჩამოაგდო.

პირველი ტაიმი ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა 69:62 მოიგო, ხოლო მეორეში ვიქტორ სანიკიძის არქიმექულეობით უსტიაშვილის შეგირდებმა იძალეს და საბოლოოდ 16-ქულიანი უპირატესობით იმარჯვეს. მატჩის უძვირფასესი მოთამაშე ტრადიციულად გამარჯვებულთაგან დაასახელეს და ის 41 ქულის მიმთვლელი ვიქტორ სანიკიძე გახდა.

### დრიბლიორები

ამ კონკურსს კურიოზები ახლდა, რაკი მისი ორი მონაწილე ისეთი ელემენტარული რამის გამო გამოეთიშა ბრძოლას, რაც ამგვარ შეჯიბრებებში იშვიათად ხდება.

მოედანზე ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულია სვეტები. მონაწილეთა მიზანი მოედნის ერთი ბოლოდან მეორეში გასვლა, ბურთის კალათში ჩაგდება და უკან დაბრუნებაა — რა თქმა უნდა, ამ სვეტების ზიგზაგოვანი შემოვლით. გამარჯვებული ისაა, რომელიც ამას ყველაზე ნაკლებ დროში მოახერხებს. ჰოდა, მიხეილ ჩიტაშვილმა და ლაშა გამყრელიძემ ფარქვეშიდან ბურთი აცილეს, რამაც იმდენი დრო წაართვა მათ, რომ მეტოქეებმა გადაასწრეს.

ფინალში დინამოელი გიორგი ნანიტაშვილი და შარშანდელი გამარჯვებული თსუ-ელი დავით არწივიძე გავიდნენ. ამ უკანასკნელმა ტიტულის დაცვა მოახერხა — მან ნანიტაშვილზე ერთი წამით ადრე შეასრულა დაკისრებული ამოცანა.

### სამქულიანები

თავიდანვე ვთქვათ, რომ შარშანდელ გამარჯვებულ კოტე ტულუშს ამჯერად არ გაუმართლა. მან მონაწილეთაგან ყველაზე ნაკლები, 6 ქულა მოაგროვა და შეჯიბრს ნახევარფინალში გამოეთიშა.

ფინალში მოგვარეები გავიდნენ: დავით ბერიშვილმა 20 ქულა მოაგროვა, მიხეილ ბერიშვილმა — 19. ტულუშთან ერთად არ გაუმართლათ მაკაბელ დავით კორკოტაძეს (12 ქულა,), დინამოელ გიორგი გულისაბედაშვილს (13) და რუსთაველ ბესო ლეჟავას (16).

ფინალური შეხლა სამქულიანების ტურნირის შარშანწინდელმა გამარჯვებულმა დავით ბერიშვილმა მოიგო, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა მიხეილის 16-ის წილ.

### ჩატენვები

ყველა ის ჩანაფიქრი რომ გამოსვლოდათ ამ კონკურსის მონაწილეებს, რასაც გეგმავდნენ, მაყურებელი მართლაც ულამაზეს მომენტებს იხილავდა, მაგრამ...

გაცუდებული ილეთების გამო გამოეთიშა ბრძოლას მიხეილ ჭოჭუა და დავით ხიზანიშვილი, ფინალში კი ვიქტორ სანიკიძე და დავით ბარბაქაძე გავიდნენ.

გადამწყვეტი შერკინება არ შედგა. დავით ბარბაქაძემ სამივე ცდა გააფუჭა, ხოლო სანიკიძემ ერთი მოხდენილი ჩატენვა უჩვენა ჟიურის და პრიზსაც დაეპატრონა.

**ირაკლი პერტაია**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



დავით ბერიშვილი



# საპლეიოფო ლეგიონი

გასულ კვირაში ნიკოლოზ ცქიტიშვილისთვის სეზონი ოფიციალურად დასრულდა, თუმცა ის მისთვის, დაახლოებით ერთი თვის წინ იყო მოთავებული. იტალიური სერია A-ს რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსკენ „ტერამომ“ ამერიკელი მოთამაშე შეიმატა და იტალიაში არაამერიკელებზე დაწესებული ლიმიტის გამო სწორედ ქართველი ფორვარდი შევიწროვდა. ცქიტიშვილი განაცხადში ვერ ხვდებოდა და ახლა მის ამ არასახარბიელო ყოფას წერტილი იმით დაესვა, რომ სერია ზ-ს რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა, „ტერამო“ კი პლეი ოფში ვერ მოხვდა. დანარჩენ ლეგიონერთა უმეტესობისთვის კი პლეი ოფი უკვე გახურდა და კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა ესტონურ „როკში“ მოთამაშე გიორგი ცინცაძე

### ესტონეთი

ისევე როგორც წინა საპლეიოფო რაუნდში „ტრიობეტთან“, „როკერებმა“ ნახევარფინალშიც მშრალი ანგარიშით მოუგეს მომდევნო მეტოქეს — ცინცაძის გუნდმა ქვა ქვაზე არ დატოვა თანაქალაქელი „ფაუსტოსგან“ და ახლა ფინალში გასასვლელად ერთი გამარჯვებაღა უკლია.

„ფაუსტომ“ „როკერებს“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში, რომელსაც „როკის“ დარბაზმა უმასპინძლა, ცინცაძის გუნდმა 84:66 იძალა. ამ შეხვედრაში საუკეთესო ქართველი უკანახაზელი გახლდათ, რომელმაც 38 წუთში 22 ქულა, 4 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

ცინცაძემ სერიის მეორე მატჩშიც ულიდერა თავისიანებს: 13 ქულით ბომბარდირი ხომ გახდა, 8 პასიც მოიმკა და ეს მაშინ, როცა მის გუნდში 2 პასზე მეტი არავის მოუგროვებია. „როკმა“ ამჯერადაც იოლად იმარჯვა (88:72) და ახლა შინაური მატჩის მოგება უნდა, თავი ფინალში რომ დაიგულოს.

### უკრაინა

ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ მანუჩარ მარკოიშვილი მოედანს დაუბრუნდა. მას ფეხი სტკიოდა და თვეზე მეტია, კიეველებს ვერ ეხმარებოდა. თუმცა ერთიცაა — უკრაინული ჩემპიონობის მაძიებელ „ბკ კიევს“ ჯერ შეუძლია, არხეინად იყოს, რაკი ფინალამდე ისეთი არავინ შეხვდება, სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

კიეველებმა იოლად დაძლიეს პირველი საპლეიოფო ბარიერი და ახლა ნახევარინალშიც კომფორტულად გრძნობენ თავს. მარკოიშვილის გუნდი ფინალის ზღვარზეა, სუსტი „პოლიტექნიკის“ ერთხელ დამარცხებაღა ესაჭიროება.

მარკოიშვილი სწორედ „პოლიტექნიკასთან“ დაპირისპირების წინ დაბრუნდა მოედანზე. მან ამ გუნდის წინააღმდეგ ორივე ნახევარფინალურ მატჩში ითამაშა. მისი დაბრუნება წარმატებული გამოდგა — 11 წუთში 10 ქულას მოუყარა თავი და კიეველთა იოლ გამარჯვებაში (98:68) თავისი წვლილი შეიტანა. მეორე მატჩში მანუმ მოედანზე 16 წუთი დაყო და 6 ქულა მოაგროვა.

### საბერძნეთი

პლეი ოფი მოულოდნელად დაიწყო ვლადიმერ ბოისას „არისისთვის“. მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში სალონიკელებმა, რომლებმაც რეგულარულ ჩემპიონატში წინ მხოლოდ „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“ გაუშვეს, შინ უსახელო „მარუსისთან“ დამარცხდნენ და ახლა დიდი ჭაპანწყვეტა მოუწევთ საქმის გამოსასწორებლად.

ბოისამ საკმაოდ ბევრი ითამაშა — 26 წუთში მან 6 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა, თუმც ვერც მისმა თანაგუნდელებმა გამოიჩინეს ფხა და „არისი“ სერიას 0:1 აგებს.

### ესპანეთი

ფაქტობრივად დასრულებულია სეზონი ტაირონ ელისისთვისაც. ქართულპასპორტიანი ამერიკელის დახმარებით „კახასოლმა“ პრიმერადივიზიონში ადგილი შეინარჩუნა და იმის დროც აღარ არის, რომ პლეი ოფში გასასვლელად იბრძოლოს.

ბოლოსწინა ტურში „კახასოლმა“ მორიგი მრისხანე მეტოქე გაამწარა — „უნიკახას“ შინ 87:83 მოუგო. ელისი 30 წუთში 18 ქულას დასჯერდა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA პლეი ოფი



მარვინ უილიამსმა რაჯონ რონდო უმოწყალოდ შებოჭა და დაანარცხა ფიცანრაგზე

# ჭირი იქა, ლხინი აქა
## გასრულდა ატლანტას ზღაპარი

4 მაისი

### პირველი წრე
### აღმოსავლეთი

**ბოსტონი 4:3 ატლანტა**

**ბოსტონი 99:65 ატლანტა**

**ბოსტონი:** რონდო (10), რ. ალენი (7), პირსი (22), გარნეტი (18 ქულა, 11 მოხსნა), პერკინსი (10 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება); პოუი (12), პოუზი (6), დევისი (6), ტ. ალენი (4), კასელი (2), ბრაუნი (2), შაუსი

**ატლანტა:** ბიბი (2), ჯონსონი (16), უილიამსი (7), სმიტი (7), ჰორფორდი (8 ქულა, 12 მოხსნა); სტუდემაიერი (10), ფაჩულია (10 წუთი, 7 ქულა, 4 მოხსნა), ჩილდრესი (6), ჯონსი (2), ლოუ, ვესტი, რიჩარდსონი

სერიის გადამწყვეტ თამაშში „ბოსტონმა“ „ატლანტას“ შინ 34 ქულით მოუგო. ასე დასრულდა ატლანტური ზღაპარი, რომლის სმენა-ყურებაში მთელი ამერიკა გარინდულიყო და რაღაც საასწაულებრივ ფინალს ელოდა.

„ატლანტამ“ ვერ შექმნა სასწაული, მაგრამ პლეი ოფიდან მაინც ამაყი წავიდა ზაფხულის არდადეგებზე, თუმცაღა ბოლო მატჩში მაგრად კი მოთელა გაალმასებულმა „ბოსტონმა“. პირველ წრეში გავარდნილი გუნდებიდან ხომ ვერავინ გაძლო ამდენ ხანს.

„პროგნოზებში ჩვენ ერთ გამარჯვებასაც არ გვაძლევდნენ, არადა სამი მოვიგეთ და მეშვიდე თამაშამდე მოვატანეთ“ — დაუფარავი კმაყოფილებით საუბრობდა „ატლანტას“ თავკაცი მაიკ ვუდსონი.

იცოდნენ, რომ გავარდებოდნენ, მაგრამ ატლანტელები ცდილობდნენ, ძვირად დაესვათ „ბოსტონისთვის“ გამარჯვება და უბრძოლველად დუიმს არ უთმობდნენ. სერიის მეოთხე თამაშში ჩვენებურმა ზაზა ფაჩულიამ მკერდში ნაკრავი იდაყვი არ ჩეარჩინა კევინ გარნეტს და სხვებიც, ასევე საკუთარი ღირსების დაცვით ბოლომდე ომობდნენ. მარვინ უილიამსს კი აშკარად ზედმეტიც მოუვიდა, როცა მეშვიდე მატჩის მესამე მეოთხედში გარღვევაზე წასული და ამხტარი რაჯონ რონდო მკლავებში მოიგდო და ისე უმოწყალოდ დაანარცხა ფიცარნაგზე, რომ ბოსტონელს რამდენიმე წუთი იქვე ასულიერებდნენ. უილიამსი კი მაშინვე გააგდეს მოედნიდან.

იმ დროისთვის „ჰოქსი“ უკვე გატეხილი იყო. „ბოსტონმა“ ატლანტაში კი წააგო სამივე შეხვედრა, მაგრამ საკუთარ კედლებში ის იყო მოედნის სრული გამრიგე და ეს განსაკუთრებით უკანასკნელ მატჩში გამოიკვეთა. „ატლანტა“ პირველი მეოთხედის შემდეგ უკვე 11 ქულას აგებდა, დიდ შესვენებაზე 18-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა, მესამეში კი „ბოსტონმა“ პირდაპირ წალეკა სტუმარი გუნდი, სხვაობა გაუორმაგა და მასპინძელთა მწვრთნელმა დოკ რივერსმა მერეღა დაასვენა ლიდერები, ისიც იმ გათვლით, რომ მეორე წრეში ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდთან“ უწევს შეტაკება, თორემ ბოლომდე რომ მიეშვა, მის ბიჭებს იქნებ 50 ქულითაც შეემუსრათ წინააღმდეგობის შემბედავი „ატლანტა“.

ასე დასრულდა ეს დრამატული და საინტერესო სერია, რომელშიც ჩვენებური ზაზა ფაჩულია მოვლენების ცენტრში ტრიალებდა. და ასე დაიწყო ნბა-ს პლეი ოფი ქართველებისთვის. იმედია, ფაჩულია და მისი გუნდი იქ მომავალ წელსაც მოხვდებიან. თავად ზაზამ კი ამ სერიის შვიდივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, ითამაშა საშუალოდ 15 წუთი, გააკეთა საშუალოდ 4,1 ქულა, 2,9 მოხსნა, 0,3 პასი, 0,3 ჩაჭრა; თამაშიდან ჩააგდო სროლების 28 პროცენტი (7-25) და გამოიყენა საჯარიმოების 71,4 პროცენტი (15-21); მიიღო 22 პერსონალური და 9-ჯერ დაკარგა ბურთი.

### მეორე წრე
### დასავლეთი

**ლეიკერსი 1:0 იუტა**

**ლეიკერსი 109:98 იუტა**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (38), გასოლი (18 ქულა, 10 მოხსნა), ოდომი (16), ვუიაჩიჩი (15), რადმანოვიჩი (10)

**იუტა:** ოქური (21 ქულა, 19 მოხსნა), ბუზერი (15 ქულა, 14 მოხსნა), უილიამსი (14 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), კირილენკო (11), ბრიუერი (11), კორვერი (11)

კარიერაში პირველად სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებული კობი ბრაიანტი ბედნიერებას და სრულ თავდაჯერებას ასხივებდა მოედანზე და „იუტა“ ამაოდ ცდილობდა მისი ვარსკვლავის ჩაქრობას.

ბრაიანტის „ლეიკერსმა“ „იუტასთან“ სერია დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო და უკვე ზედიზედ ხუთი მოგება მოუგროვდა. კობი კი შეუდარებელი იყო და იუტელებს ისღა დარჩენოდათ, მასზე წარამარა დაჯარიმებულიყვნენ, თუმც ხსნა მაინც ვერ ჰპოვეს — ბრაიანტი საჯარიმოს ხაზიდანაც შეუმცდარი იყო და 23 ცდიდან 21 გამოიყენა, რითაც კლუბის საპლეიოფო ისტორიაში რეკორდი დაამყარა.

**ივანე ძოზიაშვილი**

## ევროლიგა

ოთხთა ფინალი. მადრიდი. ესპანეთი. 2-4 მაისი

# ევროპა ურუსო რუსებისაა

**მესამე ადგილისთვის**

**სიენა 97:93 ტაუ**

***ძირითადი დრო 79:79***

**სიენა:** ლავრინოვიჩი (19), მაკანტირი (16)

**ტაუ:** მიკაელი (16), სპლიტერი (15)

**ფინალი**

**ცსკა 91:77 მაკაბი**

**ცსკა:** ლენგდონი (21), ჰოლდენი (14), შიშკაუსკასი (13), ანდერსენი (13), სმოდიში (13), პაპალუკასი (12)

**მაკაბი:** ბინამი (23), ბატისტა (14), მორისი 13)

**რუსების** გარეშე მოთამაშე მოსკოვის ცსკა-მ ევროლიგის ფინალში 91:77 დაამარცხა თელ ავივის „მაკაბი“ და მადრიდის „რეალის“ შემდეგ შეიქნა მეორე გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტჯერ მოუგია ძველი კონტინენტის უმაღლესი საკლუბო ჯილდო. არმიულმა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასი გასულ საუკუნეში ოთხჯერ მოიგო, ხოლო ევროლიგად წოდებული ამ ტურნირის ტიტულს მეორედ გაუისინჯა გემო — მოსკოველებმა ორი წლის წინაც „მაკაბის“ აართვეს ევროლიგის თასი.

თავის მხრივ, მოსკოველთა დამრიგებელ ეტორე მესინასთვის ესაა მეოთხე ევროლიგული ტიტული და ამაზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ერთ მწვრთნელს აქვს — სერბი ჟელკო ობრადოვიჩის გაწვრთნილ გუნდებს ევროპის უპრესტიჟულესი ტიტული ხუთჯერ მოუგიათ.

„მე ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ოთხივე გუნდს, რომელსაც ჩემი ხელმძღვანელობით ევროლიგა მოუგია, თამაშის განსხვავებული მანერით მოუხერხებია ეს — თქვა ნამატჩევს ეტორე მესინამ — ერთადერთი, რაც მათ აერთიანებდათ, ეს იყო გუნდური დაცვა და ბურთის სწრაფი გათამაშება“.

მესინა სრულიად მართალია, რაკი მისი გუნდები სწორედ მწყობრი დაცვით არიან ცნობილნი. ასე იყო ამჯერადაც, როცა მადრიდულ ფიცარნაგზე არმიელებმა მესამე მეოთხედში გაუვალი კედელი აღმართეს და „მაკაბის“ 3 წუთის მანძილზე ბურთი არ ჩააგდებინეს.

სწორედ აქ მოხდა გარდატეხა, თორემ მანამდე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. თელავიველები არაფერს უთმობდნენ მოსკოველებს. ებრაელთა მოუხელთებელი გამთამაშებელი ვილი ბინამი უსწრაფეს გარღვევებს ახორციელებდა, ხოლო ფარქვეშ ურუგვაიელმა ესტებან ბატისტამ აშკარად დაჩაგრა არმიელები.

პირველი ტაიმი ცსკა-მ 43:42 მოიგო და როგორც გამოჩნდა, გასახდელში არმიელებმა უფრო სწორი დასკვნები გამოიტანეს და უკეთესი საბრძოლო ტაქტიკა შეარჩიეს. მეორე ნახევარში მოსკოველები ზონაში ჩადგნენ და სამწამიანში იოლად არავის უშვებდნენ. თავად კი შეტევაში მწყობრად გადადიოდნენ და ქულებს რაგინდარა საშუალებებით იხვეჭდნენ — საჯარიმოებით, სწრაფი გარღვევებით, საშუალო სროლებით და სამქულიანებით.

მესამე მეოთხედის ბოლო და მეოთხეს დასაწყისი არმიელებმა 10:0 მოიგეს და მოპოვებული სოლიდური უპირატესობა თამაშის ბოლომდე იოლად შეინარჩუნეს. ნირწამხდარი თელავიველების თავკაცმა კომენტარი არ ისურვა, „მაკაბის“ ამერიკელმა ფორვარდმა ტერენს მორისმა კი ესღა წარმოთქვა:

„ჩვენ არასდროს ვაღიარებთ, რომ ისინი ჩვენზე ძლიერები არიან. ცსკა-მ უშუალოდ ამ საღამოს გვაჯობა. საკუთარ თავს განაჩენი თავად გამოვუტანეთ, როცა აუარება შეცდომები დავუშვით. ამდენი ხარვეზი ამ სეზონში არ გვქონია. მესამე მეოთხედში, როცა ცსკა-მ გაქცევა მოაწყო, სწორედ მაშინ ვაცილებდით სროლებს, ბევრჯერ დავკარგეთ ბურთიც და გაფუჭებული საქმე ველარ გამოვასწორეთ“.

ფინალის უძვირფასესი მოთამაშე გახდა არმიელი ტრაიან ლენგდონი, რომელმაც 21 ქულას, 7 მოხსნას და 6 პასს მოუყარა თავი. ამაზე მეტი მოიხვეჭა მაკაბელმა ვილი ბინამმა, მაგრამ წაგებულს ამ ტიტულს ვინ გადასცემდა?!

სემამე ადგილისთვის მატჩში გაცილებით საინტერესო ბრძოლა გაიმართა: იტალიურმა „სიენამ“ ოვერტაიმში ძლია ესპანურ „ტაუს“.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს მე-18 ჩემპიონატი
## კაცები. მეორე წრე

5 მაისი

**მამული 42:25 ქუთაისი**

**მამული:** ხონელიძე, ქუთათელაძე (10 გოლი), თეთრუაშვილი (9), გილიგაშვილი (8), გველესიანი (6), სეთურიძე (5), ცოტაძე (4), ბერეკაშვილი, ლობჟანიძე (5), ჩიხლაძე, შონია
**ქუთაისი:** შიშინაშვილი, დოლაკიძე (8), ადამია (6), ტუყუში (4), ცერცვაძე (3), შარაშენიძე (2), ჯანაშია (1), გ. გობეჯიშვილი (1), ჩხეიძე, სვანიძე, სიხარულიძე
**მსაჯები:** ელენე არაბული, თამარ არჩაია

**თბილისი 28:24 სტუ**

**თბილისი:** ანდრიაძე, კალანდაძე (14), წივწივაძე (6), გელაშვილი (4), მაისურაძე (3), ქარდავა (2), გონჩაროვი, ჯიშკარიანი, ჟღენტი, ყაველაშვილი, ქუთათელაძე
**სტუ:** თევზაძე, ტალახაძე (7), გუგალაძე (7), კობახიძე (4), ა. ყიფიანი (1), ჯორბენაძე (1), ზაალიშვილი, გ. ჩიქოვანი, ნიკოლაიშვილი, ო. ყიფიანი
**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

# ნერვების თამაში
## თბილისმა სტუდენტებს მესამედ ესროლა



ტიტე კალანდაძე ეროვნულ ჩემპიონატს გოლებით დაუბრუნდა

**გუშინ** ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზმა ხელბურთელთა ჩემპიონატის დასკვნით ტურს უმასპინძლა და წინასწარი ეტაპის გამარჯვებული გამოავლინა. „თბილისმა“ უშუალო კონკურენტ „სტუთელავს“ ზედიზედ მესამედ მოუგო და საპლეიოფო ბრძოლების წინ მოედნის არჩევის უფლება დაიბევა. თუმცა ვიდრე ამ საინტერესო და დაძაბულ თამაშზე მოგიყვებით, მეორე წყვილის ამბები ვთქვათ. „მამულმა“ ბოლო ტურში დამარცხებისთვის „ქუთაისთან“. სრულფასოვანი რევანში აიღო და მეტოქეს მინიმალური შანსიც არ დაუტოვა. მთავარი ჯახი კი ამის მერე იყო. თამამად ვთქვათ, წლეულს ამ გუნდებს შორის ასეთი დაძაბული, ნერვიული და თვალსასეირო დაპირისპირება არ ყოფილა. ჯერ ერთი, ბოლო ორი ტურია, „თბილისელები“ იგებენ და სტუდენტებს რევანშის სურვილი კლავდათ. თან უკვე წლებია, ამათი თამაში ყოველთვის ბრძოლაში მიდის და აბა, ახლა სხვაგვარად როგორ იქნებოდა. ესეც არ იყოს, გამარჯვებული ცხრილის თავში ექცეოდა და, როგორც უკვე ვთქვით, საპლეიოფოდ მოედნის არჩევის უფლებას .იღებდა. მოკლედ, ბევრი მიზეზი იყო იმისა, რომ კარგი თამაში გამოსულიყო და გამოვიდა კიდეც. თუმცა საქმეში ჩაუხედავი კაცი რომ შემოსულიყო დარბაზში, იქნებ ეფიქრა, უეჭველად საჩემპიონო თამაშიაო, იმდენად ემოციურად და დაძაბულად მიდიოდა დაპირისპირება.

ერთი თავიდან იყო, რომ „თბილისი“ 5:2-ზე სამქულიანი ფორით გაიქცა და მეორედ მე-10 წუთისკენ, როდესაც სტუდენტები 13:10 დაწინაურდნენ, დანარჩენი დრო, თამაშის მიწურულამდე, ვიდრე „თბილისი“ გადამწყვეტ უპირატესობას მოიპოვებდა, ქულა ქულაში გაილია და გუნდებმა ერთმანეთს არაფერი დაუთმეს. თბილისელებს ლიდერობას მოთამაშე მწვრთნელი ტიტე კალანდაძე უწევდა, ვინც წინა ორი თამაში დაისვენა და მთავარი ბრძოლისთვის ძალები შემოინახა. ტიტე იქნებ ფიზიკურად ისეთი ძლიერი აღარ არის და ჩვეული ფორმისგანაც შორსაა, მაგრამ გამოცდილება და კლასი მაინც თავისას აკეთებს. ორივე გუნდიდან ყველაზე მეტი, 14 გოლი ხომ გაიტანა და თან ზუსტად იმ დროს ხეირობდა, როდესაც გადამწყვეტი მომენტი იყო და მის გუნდს უჭირდა.

საამმატჩოდ მნიშვნელოვანი ძალა სტუდენტებსაც გამოუჩნდათ. შვედეთიდან დაბრუნებული შოთა თევზაძე კარში დამაჯერებლად იდგა და 15 დარტყმაც აიღო, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ გამოდგა. სტუდენტებს მონდომება ნამდვილად არ აკლდათ, მაგრამ ამ ეტაპზე „თბილისი“ ცოტა უფრო დალაგებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. თანაბრად მიმდინარე თამაშში კვანძი ბოლოსკენ გაიხსნა, როდესაც თბილისელები თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე 25:21 დაწინაურდნენ. ძნელად სავარაუდო იყო, სტუ-ს ასეთ რთულ თამაშში 4 ბურთიანი სხვაობა გაებათილებინა, და მოეგო. საბოლოოდ ასეც მოხდა. ფრის შემთხვევაში კი ცხრილის თავში ბურთების უკეთესი ბალანსის გამო „თბილისი“ რჩებოდა. „თბილისი“ მოედანს აირჩევს, საპლეიოფო თამაშები კი 17 და 19 მაისს გაიმართება. ჩატარების ადგილი გუნდების სურვილის მიხედვით გადაწყდება.

**ლევან მაისურაძე**

**მეგოლეები**

| | |
|---|---|
| ამირან ყიფიანი (სტუ) | 154 |
| ვანო ქარდავა (თბილისი) | 144 |
| გიორგი წივწივაძე (თბილისი) | 107 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 13 | 0 | 2 | +310 | 26 |
| სტუ | 15 | 12 | 0 | 3 | +256 | 24 |
| მამული | 15 | 3 | 0 | 12 | -237 | 6 |
| ქუთაისი | 15. | 2 | 0 | 13 | -329 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები
## ფინალი

# კილის ქვეშ სიუდადია

**ხელბურთელ** კაცთა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 11 მაისს გერმანიაში გაირკვევა მას შემდეგ, რაც „კილი“ ესპანურ „სიუდადს“ საპასუხო თამაშში უმასპინძლებს და გასვლით მატჩში მოპოვებული ორბურთიანი სხვაობის შენარჩუნებას შეეცდება.

შარშანდელმა ტრიუმფატორებმა ესპანეთში უმნიშვნელოვანესი თამაში 29:27 მოიგეს და პირინეელებს საქმე ძალიან გაურთულეს. ახლა „სიუდადი“ საკუთარ თავს უნდა გადააჭტეს, რომ ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. იქნებ ორბურთიანი სხვაობა დიდი არაა, მაგრამ როგორი საქმეა, გერმანიაში ჩახვიდე, იქაური, ვარსკვლავებით დახუნძლული გრანდი დაამარცხო და თასი წამოიღო. ესპანურ თამაშში კი „კილს“ კარაბატიჩმა ულიდერა 9 გოლით. კავტიჩნიკმა 6 ბურთი გაიტანა, ხოლო ალმმა — 5. „სიუდადიდან“ ყველაზე მეტი, 6 გოლი, სტეფანსონის ანგარიშზეა.

**ლევან მაისურაძე**



# ოქროს ბიჭის ბოლო ოცნება
## ოსკარის ოსკარი მეივეზერია




**ოსკარ** დე ლა ჰოიამ კიდევ ერთხელ გამოაცხადა, კრივიდან მივდივარო. „ოქროს ბიჭმა“ ლამის დაიფიცა, რინგზე კიდევ მაქსიმუმ ორჯერ ავალ და ამ წლის ბოლოს პროფესიულ სპორტს უეჭველად შევეშვებიო. ისე, კრივის ამ ცოცხალ ლეგენდას უკვე არაერთხელ უთქვამს, რინგიდან მივდივარო, მაგრამ უქმად დიდხანს ვერ გაძლო და საყვარელ საქმიანობას მაინც მიუბრუნდა. თუმცა, ეს ალბათ მაინც საბოლოო გადაწყვეტილებაა, რადგანაც ექვს სხვადასხვა წონაში ექსჩემპიონს უკვე ასაკი აღარ უწყობს ხელს, კიდევ ერთხელ გადაიფიქროს. თანაც, ახლა ოსკარმა კარგად დაგეგმა თავისი წასვლის თარიღი — ფლოიდ მეივეზერუმცროსს 20 სექტემბრისთვის მატჩ-რევანშზე მოურიგდა. ამის შემდეგ დე ლა ჰოია კიდევ ერთხელ იჩხუბებს და მართლა წავა.

ამ უქმეებზე კი „ოქროს ბიჭმა“ ამერიკულ კარსონში საკუთარი შესაძლებლობების პრეზენტაცია მოაწყო, რომლის მიზანიც ის იყო, ყველა დაერწმუნებინა, რომ მას კიდევ შეუძლია მეივეზერთან თანაბრად ჩხუბი. საკუთარი ძალის დემონსტრირებისთვის დე ლა ჰოიამ პირველ საშუალო წონაშო ექსჩემპიონი სტივ ფორბსი აარჩია. ჰოდა, მარტო ამ ბრძოლიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება იმის თქმა, რომ ოსკარი საკმაოდ ხეირიან ფორმაშია.

„ოქროს ბიჭმა“ პირწმინდად დაჩაგრა ფორბსი, რომელიც მთელი ბრძოლის განმავლობაში გაურბოდა მეტოქეს, დე ლა ჰოია კი მუდმივად მისდევდა და მძიმე დარტყმების კომბინაციებს რეგულარულად ატარებდა. ერთადერთი, რითაც ფორბსი გამოირჩა, გამძლეობა გახლდათ — მან როგორღაც შეძლო, და ბრძოლის ბოლომდე ფეხზე იდგა. დე ლა ჰოია სწორედ ამას ჩიოდა პრესკონფერენციაზე:

„ნოკაუტი იქით იყოს და მისი ნოკდაუნში ჩაგდებაც კი ვერ შევძელი“.

თუმც „ოქროს ბიჭის“ უპირატესობაში ეჭვი არავის შეპარვია და ამიტომაც მსაჯებმაც ერთხმად და თანაც ძალიან დამაჯერებელი ანგარიშით, გამარჯვება ოსკარს მიაკუთვნეს — ერთმა რეფერიმ 120-108, ორმა კი 119-109 დააფიქსირა დე ლა ჰოიას სასარგებლოდ.

ბრძოლის შემდეგ ოსკარი თავისი გამოსვლით ამაყობდა — 12 რაუნდი შეტევაში გავატარე და არ დავღლილვარ, თანაც ჯებს უფრო აქტიურად ვიყენებდი, რაც მეივეზერთან ჩხუბში მაგრად წამადგება. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, „ოქროს ბიჭი“ დარწმუნებულია, რომ ფლოიდზე შურს იძიებს:

„მე დავამარცხებ მას. აგერ ნახავთ, აუცილებლად დავამარცხებ“ — შელოცვასავით იმეორებდა დე ლა ჰოია.

„ოქროს ბიჭი“ დაწმუნებული კი არის საკუთარ ძალებში, მაგრამ მაინც ცოტას თუ სჯერა, რომ იგი მეივეზერს მოერევა. ჯერ ერთი, ფლოიდი ფორბსზე გაცილებით სწრაფია და შეუდარებლად უკეთ იცავს თავს, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ მეივეზერი ფორბსივით ყრუ დაცვაში არ ჩადგება და დე ლა ჰოიას თავისუფალ სივრცეს თითქმის მთლიანად მოუსპობს.

ყველაფერი ეს მშვენივრად შეაჯამა კრივის დიდების დარბაზის წევრმა ალექსის არგუელომ:

„ოსკარი მშვენიერი მოკრივე და კიდევ უკეთესი პიროვნებაა. ის ყველას უყვარს და უამრავი გულშემატკივარიც ჰყავს, მაგრამ თუ მას იმაზე მეტი არ შეუძლია, რაც ფორბსთან აჩვენა, მაშინ მეივეზერთან იოტისოდენა შანსიც არ ექნება“.

**კახა ლომაშვილი**

# პლეი ოფი მეორე წრე

4 მაისი

**პიტსბურგი 3:2 რეინჯერსი**
0:0 2:0 0:2 1:0 (ოვერტაიმში)
*სერია პიტსბურგმა მოიგო 4:1*
1:0 ჰოსა (29, უმრ. მელოუნი, კროსბი), 2:0 მალკინი (33, ლატანგი, უიტნი), 2:1 კორპიკოსკი (43, როჟივალი, დრური), 2:2 დოუსი (44, გომესი, კალაშენი), 3:2 ჰოსა (68, კროსბი, დიუპუი)

**დალასი 2:1 სან ხოსე**
0:0 1:0 0:1 0:0 0:0 0:0 1:0
(მეოთხე ოვერტაიმში)
*სერია დალასმა მოიგო 4:2*
1:0 მიეტინენი (25, ზუბოვი, მოდანო), 1:1 კლოუ (42, რივე, მიტჩელი), 2:1 მოროუ (130, უმრ. რობიდა, რიბეირო)

# ბოლო ოთხი, ანუ ფინალამდე ფინალები


ბრენდან მოროუს გადამწყვეტი გოლი სან ხოსელთა კარში

**მიილია** 2008 წლის ნჰლ-ის პლეი ოფის მეორე წრეც და კონფერენციების ფინალისტების ვინაობა გაირკვა. ამის სხვანაირად თქმაც შეიძლება — გამოვლინდნენ სტენლის თასის ნახევარფინალისტები. თუმც წლევანდელმა სათასო შეხვედრებმა დიდწილად იმედები გაუცრუეს როგორც მაყურებელს, ისე სპეციალისტებს — არც ერთ სერიაში სერიოზული ბრძოლა არ გამართულა. მეორე წრის წაგებულთაგან მხოლოდ „სან ხოსემ" შეძლო ორი მატჩის მოგება, დანარჩენები კი თითო გამარჯვებით შემოიფარგლნენ, ხოლო „კოლორადომ" საერთოდ ერთხელაც ვერ გამოიღო ხელი და კინკილა თამაშშიც ვერ იმარჯვა.

ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და აღმოსავლეთ კონფედერენციაში დატრიალებული ამბებით დავიწყოთ. პირველმა საქმე აქ „ფილადელფიამ" მოათავა, რომელმაც ხუთი მატჩი იმყოფინა კონფერენციის ჩემპიონ „მონრეალის" გასაგდებად. არადა, „ფლაიერსზე" ცოტა თუ ჩამოდიოდა ფსონს — ჩრდილოეთ ამერიკაში ხომ ავტორიტეტებად ყოფილი, ძირითადად კანადელი ჰოკეისტები მიიჩნევიან და ისინიც სუბიექტურობას არასოდეს ერიდებიან — იშვიათად მომხდარა, ამ „სპეციალისტებს" კანადური გუნდის მხარე არ დაეჭიროთ. ახლაც ასე იყო და აკი ბევრი ამბობდა, „მონრეალი" თავისი ზესწრაფი ჰოკეით გაბარიტიან და მოუხეშავ „მფინავებს" თავბრუს დაახვევსო.

ისე, გარკვეულწილად ეს პროგნოზი გამართლდა კიდეც — „მონრეალი" სერიის ყველა შეხვედრაში ფლობდა უპირატესობას და მატჩების დიდ ნაწილს შეტევაში ატარებდა, მაგრამ... „ფილადელფია" გაცილებით ფაქიზად მიუდგა თავის შანსებს და ამიტომაც იხეირა.. თუმც ამ სერიის გადამწყვეტ ფაქტორად მეკარე იქცა — მარტინ ბირონმა პირწმინდად დაჩაგრა „კანადიენსის" გამოუცდელ კიპერთა დუეტი კერი პრაისისა და იაროსლავ ჰალაკის შემადგენლობით. ბირონმა თავისი გუნდი არაერთხელ გადაარჩინა და „მონრეალის" სამწვრთნელო შტაბს საქმით დაანახვა, რომ პლეი ოფში გამოცდილი მეკარის გარეშე წარმატებაზე ფიქრი საძნელო საქმეა.

ასევე ადვილად იხეირა „პიტსბურგმაც", რომელმაც გამოცდილი და უამრავი პლეიოფური ქარტეხილგამოვლილი ვეტერანებით სავსე „რეინჯერსი" პირწმინდად დაჩაგრა. მანჰეტენელებმა კარგა ხანს ვერაფერი მოუხერხეს სიდნი კროსბისა და ევგენი მალკინს, რომლებიც თვითონაც იტანდნენ და პარტნიორებსაც ამარაგებდნენ შედეგიანი გადაცემებით. ანტარქტიდის ბინადართა ახალგაზრდა ლიდერები „რეინჯერებმა" მხოლოდ სერიის მეოთხე შეხვედრაში ამოკეტეს და მაშინ იხეირეს კიდეც, თუმც როგორც მერე გამოჩნდა, ეს მხოლოდ პრესტიჟის გამარჯვება გახლდათ. გუშინ გამთენიისას, „პინგვინების" ლიდერობა დედლაინზე აყვანილმა მარიან ჰოსამ იკისრა და ოვერტაიმის მერვე წუთზე აუღებლად გაისროლა ჰენრიკ ლუნდკვისტის კარისკენ.

ყველაზე კარგი შთაბეჭდილება კი ჯერჯერობით „დეტროიტმა" დატოვა, რომელმაც თავის ისტორიულ მტერ „კოლორადოს" გვარიანი ალიყური აჭამა და არც ერთი შეხვედრა არ მოაგებინა. ისე, ამ გუნდებს შორის ძველებური მტრობა და შუღლი უკვე თითქმის აღარ არსებობს და ალბათ სამართლიანი იქნება, მათ დაპირისპირებზე საუბარი შეწყდეს.

„კოლორადოს" კი თავის მართლება მხოლოდ გუნდის ლიდერთა არნახული ტრავმიანობით შეუძლია — პეტერ ფორსბერგმა მარტო ერთი მატჩი ჩაატარა, „ზვავებმა" კი სერიის მიმდინარეობისას მის გარდა თანმიმდევრობით დაკარგეს რაიან სმიტი, პოლ სშჩასტნი და ვოიტეკ ვოლსკი. თუმც დენვერელი გულშემატკივრები თავიანთ ჰოკეისტებს კიდევ კარგა ხანი არ აპატიებენ ასეთ შერცხვენას.

„დეტროიტის" გმირად კი იუჰან ფრანცენი იქცა, რომელმაც თავი გაიგიჟა და „კოლორადოს" 9 შაიბა გაუტანა, ზუსტად იმდენი, რამდენიც „ზვავებმა" მთლიანად ამ სერიაში შეაგდეს.

ყველაზე სერიოზული ჯახი კი „დალასსა" და „სან ხოსეს" შორის გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ტეხასელები 3:0 დაწინაურდნენ, კალიფორნიელებმა ბოლომდე იომეს და პლეი ოფი მაინც თავაწეულებმა დატოვეს. „ზვიგენებმა" ჯერ დალასში იყოჩაღეს, რის შემდეგაც სერიის მეხუთე შეხვედრაში მშობლიურ ყინულზე თითქმის წაგებული მატჩი შემოატრიალეს და ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანეს. გუშინ გამთენიისას კი მეექვსე შეხვედრა გაიმართა, რომელიც ნამდვილი ტრილერი გამოდგა და რომლის გამარჯვებულიც მხოლოდ მეოთხე ოვერტაიმში გამოვლინდა, როცა გამარჯვებისა „ვარსკვლავთა" კაპიტანმა ბრენდან მოროუმ შეაგდო. ეს ნჰლ-ის ისტორიაში ხანგრძლივობით მერვე (129 წუთი და 3 წამი) მატჩი გამოდგა.

„დალასმა" 2000 წლის შემდეგ პირველად უწია კონფერენციის ფინალს, სადაც „დეტროიტთან" გაარკვევს ურთიერთობას. ბოლო წლების მუდმივ ფავორიტად შერაცხული „სან ხოსე" კი ისევ დაგეგმილზე ადრე ვარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ზვიგენები" მომავალ სეზონს ალბათ ახალი დამრიგებლით შეხვდებიან.

**ქახა ლომაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი

**B ჯგუფი**

**ლატვია 0:7 კანადა**
0:3 0:4 0:0
0:1 შარპი (3), 0:2 გრინი (4), 0:3 შიტლი (13), 0:4 ნეში (22), 0:5 სენ ლუი (22), 0:6 კუნიცი (23), 0:7 ნეში (33)

**აშშ 5:1 სლოვაკეთი**
1:0 2:1 1:0
1:0 კეინი (12), 2:0 კესელი (27), 3:0 კესელი (33), 3:1 კოპიტარი (37), 4:1 ბუტი (46), 5:1 კესელი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 2 | 0 | 0 | 0 | 12:1 | 6 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| სლოვენია | 0 | 0 | 0 | 2 | 2:10 | 0 |
| ლატვია | 0 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |

**D ჯგუფი**

**ჩეხეთი 4:5 რუსეთი**
2:2 1:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)
0:1 ზინოვიევი (4), 1:1 ელიაში (10), 2:1 კოტალიკი (13), 2:2 გოროვიკოვი (20), 2:3 მოროზოვი (28), 3:3 ელიაში (34), 4:3 ელიაში (43), 4:4 კორნეევი (47), 4:5 მოროზოვი (64)

**იტალია 2:6 დანია**
0:3 1:1 1:2
0:1 გრენი (4), 0:2 სტოლი (9), 0:3 ჰანსენი (11), 0:4 ნილსენი (24), 1:4 ჩირონე (38), 2:4 ფონტანივე (48), 2:5 დამგორდი (51), 2:6 დეგნი (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 12:5 | 5 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 9:7 | 4 |
| დანია | 1 | 0 | 0 | 1 | 8:7 | 3 |
| იტალია | 0 | 0 | 0 | 2 | 3:13 | 0 |

**შენიშვნა**: *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები*



# ქართული რაგბი დაზღვეულია

**გუშინ** სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ და სამედიცინო დაზღვევის ჯგუფ „არქიმედე გლობალ ჯორჯიას" გენერალურმა მდივანმა ნიკა რამიშვილმა გააფორმეს ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ეს კომპანია რაგბის კავშირის ოფიციალური დამზღვევი და პარტნიორი ხდება. ამიერიდან სადაზღვევო კომპანია მოიცავს ქართული რაგბის თითქმის მთელ სივრცეს. დაზღვევა მოქმედებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე, ყველა ასაკობრივ გუნდსა და შვიდკაცა ნაკრების წევრებზე ერთი წლის განმავლობაში. დაზღვევა ასევ შეეხება საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე (უმაღლესი და პირველი ლიგა) გუნდების მოთამაშეებს სარაგბო სეზონის მანძილზე (7 თვე) და რაგბის კავშირის თანამშრომლებს. მთლიანობაში, „არქიმედე გლობალ ჯორჯია" ხუთასამდე მორაგბეს, რაგბის სპეციალისტსა და რაგბის კავშირის თანამშრომელს დააზღვევს.

*გია ნიჟარაძე.* მოხარული ვარ, რომ ამგვარი ხელშეკრულება გაფორმდა ჩვენს ახალ პარტნიორთან. მოგეხსენებათ, რაგბი ტრავმიანი სპორტია და მოთამაშეების დაზღვევით ჩვენ უდიდეს საქმეს გავაკეთებთ ქართული რაგბის განვითარებისთვის. სამწუხაროდ, დაზღვევა ჯერჯერობით არ ეხება ბავშვებს, მაგრამ, ვფიქრობ, მომავალ წელს ამასაც მივხედავთ. მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი ხელშეკრულება საერთაშორისო სტანდარტებისაა და, რა თქმა უნდა, ჩვენს მოთხოვნილებებს სრულად აკმაყოფილებს. კიდევ ერთხელ მიივმართავ ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს, რომ ითანამშრომლონ საქართველოს რაგბის კავშირთან. გარწმუნებთ, ჩვენი პარტნიორობა მომგებიანი იქნება ყველასთვის.

*ნიკა რამიშვილი.* დიდი სიხარულით შევხვდით რაგბის კავშირის წინადადებას და ინიციატივას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ვფიქრობ, ურთიერთობას მომავალშიც გავაგრძელებთ.

**ზურაბ მიბრიაული**

## ზე-14 2008

# ჯვაროსნული ზვიგენი



**კრუზეიდერზი 18:10 შარკსი**
**რედზი 22:35 ბლუზი**
**ჩიტაზი 28:31 ჰაილენდერზი**
**ჰარი კანზი 32:12 ლაიონზი**
**ფორსი 22:21 ჩიფსი**
**ბულზი 16:13 ვარათაზი**
**შტორმერზი 20:10 ბრამბიზი**

**ზე**-14-ის მე-11 ტურში „კრუზეიდერზი" „შარკსს" დაუხვდა წვიმიან საღამოს და მესამე მარცხი აწვნია. ახლა „ჯვაროსნები" უახლოეს მდევარს 10 ქულით უსწრებენ და პლეი ოფში თამაში პრაქტიკულად განაღდებული აქვთ. „შარკსი" კი ნელ-ნელა პოზიციებს თმობს. სამხრეთაფრიკელებმა ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგეს და მეექვსე პოზიციამდე ჩაიძირნენ.

„ზვიგენები" ახალ ზელანდიაში საბრძოლო შემადგენლობით ჩავიდნენ. ოდვა ნდუნგანე, ფრანს შტეინი, ჯიპი პეტერსენი, რუან პინარე, რორი კოკოტი, იოჰან მულერი და ბიჯი ბოთა, აი, იმ ვარსკვლავთა არასრული სია, ვინც პარასკევს სამხრეთული შემოდგომის ცივ საღამოს ახალზელანდიელების წინააღმდეგ სველ მოედანზე გავიდნენ.

მასპინძლები უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდნენ: „კრუზეიდერზის" გამთამაშებელ სტეფან ბრეტს მეორე წუთისთვის უკვე ორი საჯარიმო ჰქონდა გატანილი და ისე მოხდა, რომ „ზვიგენებს" მთელი თამაში მდევრის როლში მოუწიათ ყოფნა. მათი ერთადერთი ლელო პირველივე ნახევარში გაიტანა რაიან კანკოვსკიმ. ლელოს გარდასახვა მიაყოლა რორი კოკოტმა. კოკოტისვე კინკილა საჯარიმო მეორე ნახევარში და, სტუმართა ქულები სულ ეს იყო.

„ჯვაროსნებიდან" კი სალელოვედ გრეგ სოდერვილი და უეიტ კროკეტი გაისარჯნენ. ბრეტმა ორიდან მხოლოდ ერთი გარდასახვა გამოიყენა, მაგრამ მასპინძელთა მონაგარი გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

**ზურაბ მიბრიაული**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეიდერზი | 11 | 10 | 0 | 1 | +199 | 7 | 47 |
| ვარათაზი | 11 | 8 | 0 | 3 | +62 | 5 | 37 |
| ჰარიკანზი | 11 | 7 | 1 | 3 | +97 | 6 | 36 |
| შტორმეზი | 11 | 7 | 0 | 4 | +49 | 7 | 35 |
| ჩიფსი | 11 | 7 | 0 | 4 | +27 | 5 | 33 |
| შარკსი | 11 | 7 | 1 | 3 | +21 | 2 | 32 |
| ბლუზი | 11 | 6 | 0 | 5 | +60 | 7 | 31 |
| ბრამბიზი | 11 | 6 | 0 | 5 | -22 | 4 | 28 |
| ფორსი | 11 | 6 | 0 | 5 | -27 | 4 | 28 |
| ბულზი | 11 | 4 | 0 | 7 | -74 | 3 | 19 |
| რედზი | 11 | 3 | 1 | 7 | -52 | 2 | 16 |
| ჰაილენდერზი | 11 | 2 | 0 | 9 | -68 | 7 | 15 |
| ჩიტაზი | 11 | 1 | 0 | 10 | -114 | 9 | 13 |
| ლაიონზი | 11 | 1 | 1 | 9 | -158 | 2 | 8 |

მოტორბოლა

# როსი ისევ დოქტორია




**ვალენტინო როსის** გამარჯვებები არ ესწავლება. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს (აქედან ხუთჯერ „სამეფო კლასში") კარიერის მანძილზე უამრავი რბოლა აქვს მოგებული, მაგრამ ბოლო ხანებში „დოქტორი" თითქოს დაითარსა — შარშანდლიდან მოყოლებული, როსის მთელი ცხრა ეტაპის მანძილზე არ მოეგო და ასეთი ჩავარდნა იტალიელს თავის ფანტასტიკურ კარიერაში არ ჰქონია.

და აი, ჩინურ შანხაიში როსიმ, როგორც იქნა, გაარღვია მოჯადოებული წრე. ვალენტინო ჯერ კიდევ წინა, პორტუგალიური ეტაპის დაწყებამდე ამბობდა, ეშტორილში ჩემი მიზანი მხოლოდ გამარჯვებააო, მაგრამ ესპანელებს, ხორხე ლორენცოსა და დანიელ პედროსას ვერაფერი მოუხერხა და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. საწადელი „დოქტორმა" შანხაიში აისრულა და პედროსასთან მძაფრ ბრძოლაში პირველმა უწია ფინიშს. როსიმ უკვე თავისუფალი პრაქტიკისას აჩვენა საუკეთესო დრო და თითქოს კვალიფიკაციაც უნდა მოეგო, მაგრამ, მოულოდნელად ამერიკელმა კოლინ ედვარდსმა გაიბრწყინა და კარიერაში მესამე პოული მოიპოვა.

ედვარდსის გვერდით პირველ სასტარტო რიგში როსი და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალიელი კეისი სტოუნერი იდგნენ. ედვარდსმა ვერ ივარგა და საბოლოო ჯამში თანამემამულე ექსჩემპიონის, ნიკ ჰაიდენის შემდეგ, მეშვიდემ უწია ფინიშს. სტოუნერმაც შეცდომა დაუშვა, ვერც როსის მიჰყვა, პედროსაც წინ გაატარა და მხოლოდ მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. პირველობისთვის კი, როგორც ვთქვით, როსიმ და პედროსამ იომეს და ამ ომში იტალიელმა იმარჯვა.

მთლიანობაში კი უნდა ითქვას, რომ „სამეფო", მოტოჯიპის კლასში წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი არნახულად საინტერესოდ მიმდინარეობს — ოთხ ეტაპს ოთხი სხვადასხვა გამარჯვებული ჰყავდა სტოუნერის, პედროსას, ლორენცოსა და როსის სახით და გენერალური კლასიფიკაციის სათავეშიც ეს ოთხეულია, ოღონდ სხვანაირი თანმიმდევრობით — პედროსა, ლორენცო, როსი, სტოუნერი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საჩემპიონო ბრძოლა, სწორედ ამ ოთხ მრბოლს შორის გაჩაღდება და ბოლოს ვინ იქნება პირველი, ამ ეტაპისთვის ძალზე ძნელი სათქმელია.

„საშუალო", 250-იანთა კლასში ჩინური რბოლა ფინელმა მიკა კალიომ მოიგო და საერთო ჩათვლის ლიდერობა განიმტკიცა. „უმცროს", 125-იანთა კლასში კი იტალიელი ანდრეა ლენანი იყო საუკეთესო, გენერალურ კლასიფიკაციაში კი მეორე იტალიელი, სიმონე კორსია პირველ ადგილზე.

**ქახა ლომაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში**
**IV ეტაპი. შანხაი. ჩინეთი. 4 მაისი**

**მოტოჯიპი (22 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა") | 44 წთ 08,061 წმ |
| 2. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა") | 44.11,951 |
| 3. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი") | 44.23,989 |
| 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა") | 44.30,555 |
| 5. მარკო მელანდრი (იტალია, „დუკატი") | 44.35,018 |

საერთო ჩათვლა: 1. პედროსა 81 ქულა; 2. ლორენცო 74; 3. როსი 72; 4. სტოუნერი 56; 5-6. ლორის კაპიროსი (იტალია, „სუძუკი") 33; 5-6. ჯეიმს ტოსელანდი (ბრიტანეთი, „იამაჰა") 33

**250 კბ.სმ (22 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) | 48 წთ 12,217 წმ |
| 2. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) | 48.15,455 |
| 3. მატია პაზინი (იტალია, „აპრილია") | 48.26,028 |
| 4. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა") | 48.30,691 |
| 5. ალექს დებონი (აშშ, „აპრილია") | 48.33,283 |

საერთო ჩათვლა: 1. კალიო 82 ქულა; 2. პაზინი 61; 3. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია") 49; 4. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა") 44; 5. აოიამა 39

**125 კბ.სმ (19 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეა ლანონი (იტალია, „აპრლია") | 46 წთ 02,275 წმ |
| 2. მიკი დი მელიო (იტალია, „დერბი") | 46.05,630 |
| 3. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია") | 46.05,726 |
| 4. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, „დერბი") | 46.16,303 |
| 5. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია") | 46.26,128 |

საერთო ჩათვლა: 1. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია") 59; 2. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი") 50; 3. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია") 50; 4. დიმელიო 49; 5. ბრადლი 48

ჭადრაკი

**ფიდეს გრან-პრი**
**ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი**

**XII ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) |
| ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0:1 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0:1 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |
| ერნესტო ინარკიევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვან იუე (ჩინეთი) |




# გაშიმოვმა გრიშჩუკს ენდშპილი წაართვა

**ვუგარ გაშიმოვმა** ყოფილი ლიდერი ალექსანდრ გრიშჩუკი თეთრი ფიგურებით დაამარცხა და პირველობაც ჩამოართვა. რუსი დიდოსტატი მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერობდა და თანამემამულე ჟურნალისტები უკვე გამარჯვებასაც ულოცავდნენ, თუმც ვუგარმა მათ გეგმები ჩაუშალა და ყველანი ხახამშრალი დატოვა.

პარტია აზერბაიჯანელმა აქტიურად დაიწყო, მეფის მხრიდან პაიკები გაუშვა წინ და მეცამეტე სვლაზე a ხაზიდან ეტლით დაარტყა. გაშიმოვმა ლაზიერიც ჩართო თამაში, უპირატესობას დაეუფლა და 33-ე სვლაზე იმარჯვა.

პირველი მატჩი მოიგო დავიდ ნავარამ, თუმც ბოლო ადგილს მაინც ვერ ასცდა. ჩეხმა დიდოსტატმა შავი ფიგურებით თეიმურ რაჯაბოვი 47-ე სვლაზე დაამარცხა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| 1. ვუგარ გაშიმოვი | 7,5 |
| 2. ვან იუე | 7,5 |
| 3. მაგნუს კარლსენი | 7 |
| 4. შაჰრიარ მამედიაროვი | 7 |
| 5. ალექსანდრ გრიშჩუკი | 7 |
| 6. მაიკლ ადამსი | 6 |
| 7. ივან ჩეპარინოვი | 5,5 |
| 8. თეიმურ რაჯაბოვი | 5,5 |
| 9. გატა კამსკი | 5,5 |
| 10. სერგეი კარიაკინი | 5,5 |
| 11. პიოტრ სვიდლერი | 5,5 |
| 12. ეტიენ ბაკრო | 5 |
| 13. ერნესტო ინარკიევი | 5 |
| 14. დავიდ ნავარა | 4,5 |

მძლეოსნობა

# თურმე მუტოლაც ბერდება

**ეთიოპიის** დედაქალაქ ადის-აბებაში დასრულდა აფრიკის მე-16 ჩემპიონატი მძლეოსნობაში. პარასკევს, ტურნირის მესამე დღეს, მეხივით გავარდა ერთი სრულიად უცნობი მორბენლის, ბოტსვანელი ამანტლე მენტშოს შედეგი. ამ გოგონამ 400 მეტრი 49,83 წამში გაირბინა და დუნია გადარია. გარდა იმისა, რომ მან აფრიკის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად შემოურბინა სტადიონს 50 წამზე ნაკლებ დროში, ბოტსვანელმა ამ შედეგით შეავიწროვა მსოფლიოს უძლიერესი 400-მეტროსანი ქალი, ამერიკელი სანია რიჩარდსი, ვინც ამ დისციპლინაში დედოფლად ითვლება, მაგრამ თუ მენტშომ პეკინის ოლიმპიადაზეც ასე სწრაფად ირბინა, დედოფალს სულ ცოტა, სიმშვიდეს მაინც დაუკარგავს.

თავად მენტშო ერთობ მოკრძალებულია შეფასებებში, ამბობს, პეკინში ფინალშიც რომ გავიდე, ესეც ბედნიერებას მომგვრისო. ჯერჯერობით კი ის გახლავთ პირველი ბოტსვანელი მდედრი მძლეოსანი, ვისაც ოლიმპიადაზე ურბენია — ოთხი წლის წინ, მხოლოდ 20-სა რომ გახლდათ, ვაილ-ქარდით მიიწვიეს ათენის ოლიმპიადაზე და დახეთ, როგორ გაზრდილა მას შემდეგ.

მენტშოს გამარჯვებიდან 15 წუთის შემდეგ ბოტსვანას მჭლე და ისტორიულადაც არცთუ ძლიერმა გუნდმა ადის-აბებაში ლამის მეორე ოქროც კი მოიპოვა, ასევე 400 მეტრზე, ოღონდ კაცებში. ისააკ მაკვალას სულ ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე.

10 კილომეტრზე სირბილში ეთიოპიელებს ბადალი რომ არ ჰყავთ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა. მასპინძლებმა ჩემპიონატის გახსნის პირველივე დღეს ამ დისტანციაზე კაცთა გარბენში სამივე მედალი ხომ დახვეტეს და შაბათს იგივე ქალებმაც გაიმეორეს. ქალებს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ტირუნეშ დიბაბამ ულიდერა, მეორეზე კი მისი უმცროსი დაიკო ეჯეგაუეჰუ გავიდა.

კვირას, ტურნირის მეხუთე და უკანასკნელ დღეს, ეთიოპიის ყველაზე კარშკაშა ვარსკვლავმაც გამოანათა სამშობლოში. მთელი აფრიკა მოუთმენლად ელოდა კენენისა ბეკელეს და მანაც 5 კილომეტრზე სირბილით და გამარჯვებით გააბედნიერა ხალხი. ტრიბუნებმა იხილა მოზამბიკელი ტუ ავაზა მარია მუტოლაც, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაბერდა. ახლა მუტოლამ თავისი 800 მეტრი 19 წლის კენიელ პამელა ჩერიმოსთან წააგო.

**ივანე ქოგიაშვილი**



პამელა ჩერიმომ მარია მუტოლა უკან მოიტოვა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge